



• СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWJETKUNST

180
965/3

ՀԱՅԿՄՈՂ

ԼՂԸՄՅԸՂԻ

1965



საქართველო საბჭოთა საზოგადოებრივი საბიბლიოთეკო სამსახური

თავის
გულის
განათლებლად
ქონ
კვალი
ქონდა
ქონდა

9907

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
შოკვალითიური მუხრანი

1965





ქართული
საბჭოთაო



გ. თითბაძე

რუსთაველი შეტალურგები

რ. სტურუა
← პირველი მისი

მთავარი რედაქტორი — ოთარ ეგაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.

შემოქმედებითი მუშაები ეძიებენ ახალ შეხვედრებს მაყურებლებთან, მსმენელებთან, მკითხველებთან, ისწრაფვიან ასეთ ურთიერთობაში ჰპოვონ თავიანთი იდეურ-ესთეტიკური პრინციპების დადასტურება, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახლის ძიების მიმართულება შეაჯერონ თანამედროვეობის მოთხოვნებთან.

რუსეთის ფედერაციის ათ ზონაში გაიმართა თემატური მხატვრული გამოფენები, რომლებმაც მშრომელთა ფრიად ღიღი ინტერესი გამოიწვია სახვითი ხელოვნებისადმი. ახლა გაჩაღებულია თეატრალური და მუსიკალური სეზონი. კინემატოგრაფში, თეატრში, მუსიკაში, სახვით ხელოვნებაში დამსახურებული ოსტატების გვერდით სულ უფრო საინტერესოდ და მნიშვნელოვნად გვიჩვენებენ თავს ახალგაზრდა შემოქმედებითი მუშაკები. მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა სულ უფრო დაძინებით ესწრაფვის თანამედროვე სინამდვილის არსებითი პრობლემების შეცნობას.

ახლო მომავალში გაიმართება რუსეთის ფედერაციის მწერლებისა და მხატვრების, კინემატოგრაფისტ მუშაკების შემოქმედებითი კავშირის ყრილობები. მზადდება მხატვრული გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“, სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალი. ლიტერატურა და ხელოვნება ღირსეულად უნდა შეგედნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

სოციალისტური ხელოვნების განვითარება მუდამ აყენებს ახალ საკითხებს, მოითხოვს უადრესად დაძაბულ ყურადღებას, დაკვირვებულ პარტიულ მიდგომას, გაბედულ გადაწყვეტილებებს.

სოციალისტური ხელოვნების განვითარების ღირსეული ხაზი, თანამედროვე ეტაპის მისი ამოცანები შემუშავებულია კოლექტიურად, ისინი ჩამოყალიბებულია სკკპ პროგრამაში, პარტიის XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1963 წ.) პლენუმის რეზოლუციაში.

საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ფართო აღიარება მოიპოვეს თავიანთი რევოლუციურობით, სოციალისტური ჰუმანიზმის იდეებით, ბოროტებისა და ძალადობის სამყაროსადმი შეურიგებლობით, მაღალი მხატვრულობით, მსოფლიო კულტურის საუკეთესო ტრადიციების განვითარებით. ჩვენი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, კინოსა და თეატრის მოღვაწეების ღვაწლსა და შემოქმედებას წლითწლით მდიდრდება ახალი სოციალური და ესთეტიკური გამოცდილებით. ასახავს საბჭოთა ადამიანის კულტურის მზარდ დონეს, თვით ცხოვრება ადსტურებს ჩვენს ქვეყანაში მხატვრული შემოქმედების განვითარების გზის ნაყოფიერებას. „**ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში**, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვნების მართლად და მაღალმხატვრულ ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებუ-

ღირსეულად ავსახოთ საბჭოთა ხალხის საქმეების სიღიად



ომენიზმის მშენებლობის პერიოდში, როცა განსაკუთრებით სრულად იფურჩქნება საზოგადოების სულიერი ძალები, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხატვრული შემოქმედება. მიმდინარეობს საბჭოთა ხელოვნების ესთეტიკური არსენალის განახლებისა და გამდიდრების პროცესი, მტკიცდება მისი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება აფარაძობს სამყაროს მხატვრული შეცნობის საზღვრებს, ქმნის ადამიანურ ემოციურ-ესთეტიკური შემოქმედების ახალ შესაძლებლობებს.

ლი და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლას“.

ჩვენი ხელოვნება დამკვიდრდა როგორც ცხოვრების სიმართლის ხელწინააღმდეგობა, და ამიტომ იგი თავისი არსით ოპტიმისტურია.

საბჭოთა ხელოვნება ასახავს ცხოვრებას მთელი მიზნით სისრულით, ბრძოლაში და სიძნელეთა დაძლევაში, სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიურბრძოლაში და გამარჯვებათა სიხარულში, მწვავე კონფლიქტებსა და დრამატულ სიტუაციებში. ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი გზისა და დღევანდელი ცხოვრების მოვლენათა გააზრებით საბჭოთა ხელოვნანი ვადაგვიშლის მათ ისტორიულ პერსპექტივაში. ეს შესაძლებელია ხდის აისახოს მხატვრულ შემოქმედებაში საზოგადოებრივი განვითარების წამყვანი ტენდენციები, აისახოს კომუნისმის მშენებლობის პათოსი და ჩვენი თანამედროვის გმირული ხასიათი. ეს შესაძლებელია ხდის გამოვლინდეს მთელი სიმდიდრე ადამიანის პიროვნებისა, რომელიც ჩამოყალიბებულია სოციალისტური სინამდვილით, მრავალფეროვნება ფორმებისა, რომლებითაც იჩენს თავს საბჭოთა ადამიანის, ახალი ცხოვრების შემოქმედისა და მშენებლის საზოგადოებრივი აქტივობა. ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების გამოცდილება კვლავ და კვლავ დასტურებს, თუ რაოდენ დიდი დაღვებით მავალითის შემოქმედების ძალა ადამიანთა იდეური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის.

მხატვრული შემოქმედების პარტიულობა და ხალხურობა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების განუყოფელი ნიშნებია. პარტიული და ხალხურია ის ხელოვნება, რომელიც იქმნება ხალხისათვის, გამოხატავს მის ფიქრებსა და მისწრაფებებს, ეხმარება ადამიანებს უფრო სრულად და ღრმად შეიცნონ თავიანთი თავი და თავიანთი დრო. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების საგანძურში ცოტაა როდია ისეთი ნაწარმოებები, რომლებმაც ხალხის სულიერი ცხოვრება გაამდიდრეს. მიგმართავთ რა მათ დღეს, ერთხელ კიდევ ვერწმუნდებით, რომ მხოლოდ ნიჭიერება და სიმართლის შემცველმა ნაწარმოებებმა გაუძღეს დროის მიერ შემოწმებას, მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც შოაგონებულია კომუნისტური იდეალებით და ემსახურება ხალხს და არა ცალკეულ სწობებსა და „დამფასებლებს“, იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც აზრისა და გრძნობის მძლავრი მუხტია, შესწევთ უნარი აღაფრთოვანონ ადამიანი გმირობისათვის.

ასეთად შევიდნენ ხალხის სულიერი ცხოვრებაში ჩვენი რეკლუკური ეპოქის ხელოვნების საუკეთესო ქმნილებანი.

სოციალიზმის პირობებში შექმნილია ეროვნული კულტურების განვითარებისა და ურთიერთგამდიდრების მდიდარი გამოცდილება. სოციალისტური ხელოვნება იქმნება ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა მხატვრული ინტელაქციის ძალისხმევით, იგი მრავალეროვნული და ინტერნაციონალურია, მდიდარია საბჭოთა კავშირის

ხალხთა თვითიერი ეროვნული კულტურის საუკეთესო სო ტრადიციებით, მხოლოდის ყველა ხალხთა პრიორესული ხელოვნების მიღწევებით, ილაშქრებს ეროვნული შეხელოვნობისა და განსაკუთრებულობის ნაშთების წინააღმდეგ, ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

წარსულის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციების განვითარება საბჭოთა ხელოვნებაში როგანვლად შეხანმებულია ნოვატორულ ძიებათაან, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამდიდრებათაან. ნავარამ ამას საერთო არა აქვს რა იმ მოვლენების გააცოცლებიასა და პრიორესულად გასაღების ცდიებაან, რომლებიც წარმოადგენენ ვადახვევას რეალიზმისაგან, რომლებსაც ხელოვნება მიჰყავთ ფორმალისმისაგან, ესთეტიკული კენ, უიდეობისაგან. წვლილი, რომელიც მხოვლი კულტურაში შეიტანა სოციალიზმის ხელოვნებამ და კვლავ შეაქვს, დაკავშირებულია იდეურ-მხატვრული კონცეპციების პრინციპულ სიახლესთან, ხელოვნების სხვადასხვა სახეებსა და ეარჩებში სოციალისტური საზოგადოების ადამიანის ხასიათისა და სულიერი სახის ცხადყოფასთან.

საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარება მოითხოვს აქტიურ ჩარევას ცხოვრებაში, მხატვრული გამომსახველობის ახალი რეალისტური გზებისა და ფორმების, ახალი საშუალებების გაუწყვეტელ ძიებას.

მხარს უჭერს რა კუმშარბრ ნოვატორობასა და შემოქმედების შემართებას სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში, საბჭოთა საზოგადოებრიობა მოვლის შთავანებულ ნაწარმოებს ჩვენი თანამედროვობის შესახებ. ჩვენი ხელოვნებისათვის თანაბრად უცხოა უნდა იყოს როგორც დანეულობა ცხოვრების სირთულეთა წინაშე, მუქი საღებავების გაძლიერება, ისე ბაქიობა, ობიექტულობა თვითგამყოფობაზე, ხატვა იდილიური სურათებისა, რომლებიც ცხოვრებას მხოლოდ ვარდისფრად ვიჩვენებენ. საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში ნამდვილი წვლილი შეიძლება გახდნენ მხოლოდ ის ნაწარმოებები, სადაც დარწმუნებით, მღელვარედ და მკაფიოდ ვადაშლილია შემოქმედებითი, აღმშენებლობითი საწყისი, რომელიც ვანსაღვრავს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების თვით არსს, მის სწრაფვას კომუნისმისაკენ, მხოლოდ ის ნაწარმოებები, სადაც შეურბეგბლად მხილბულია ყოველივე ის, რაც ჩვენი წინსვლის ელოებება.

ახლისათვის, კომუნისტურისათვის ბრძოლაში, ინდივიდუალიზმისა და მეშჩანობის დემოკრულ საწყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ხელოვნული შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი პოზიცია — შეტევათი. კომუნისმის იდეებს ის საიმედო კომპასია, რომლითაც საბჭოთა ხელოვნანი ამოწმებს და ვარაუდობს დარტყმის მიმართულებასა და ძალას ბრძოლაში.

სოციალისტური მხატვრული კულტურის განუწყვეტელი განვითარება განუყოფლად დაკავშირებულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლასთან. იმპერიალისტური რეაქცია კომუნისმის წინააღმდეგ ეწე-



ვა იდეოლოგიურ დივერსიას, რომელიც ერთი წუთითაც არ წყდება, ჩვენ არა გვაქვს იდეოლოგიურ ბრძოლაში თუნდაც ოდნავი შესვენების უფლება. არ არის და არც შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა ნათელი მომავლისაკენ ვაცობრობის განვითარების იდეებსა და რეაქციის იდეებს შორის, რომლებიც მიმართულია წარსულისაკენ და ისწრაფვიან განაიარაღონ ხალხები მათს ბრძოლაში თავისუფლების, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

ჩვენი ხელოვნების თვით ბუნება, მისი იდეურ-ესთეტიკური არსი უწინააღმდეგება იმ ცდებს, რომ სოციალისტური რეალიზმის პრინციპები გაითქვიფოს ბურჟუაზიული კულტურის კრიზისით წარმოშობილ ფორმალისტურ მიმდინარეობათა ნაკადში, რომლებიც წამლავენ ადამიანის შეგნებას პესიმისტური იდეებით საზოგადოებრივი ურთიერთობის ვითომდა მარადიული ქაოსურობის შესახებ, ვაცობრობის მიერ წყვენილ ჭეშმარიტად მხატვრულ ფასეულობებს უპირისპირებენ მახინჯ პესიპტივიზმებს, ესთეტიურ ფორმალისტრობებს. სოციალისტური ხელოვნებისათვის ამდენადვე უცხოა ნატურალიზმი, რომელიც ხელოვნებას სულიერ, იდეურ საწყისს არბთებს.

იმ ხელოვნებისათვის ბრძოლით, რომელიც ხალხს ემსახურება, სოციალისტური ჰუმანიზმის მაღალ იდეებს ამკვიდრება, გამსჭვალულია მხატვრული ცხოვრების ყველა მხარე. მხატვრული შემოქმედება არ შეიძლება საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდეს. თვით ხელოვნის კერძო საქმე იყოს, ხელოვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება პარტიის, ხალხის სამიედლ სულიერი იარაღი, თუ იგი ემსახურება კომუნისტისათვის ბრძოლის საქმეს, უნარი აქვს მონახოს ახლის ყლორტები ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში, თუ იგი ადფორთოვანებს საბჭოთა ადამიანებს მათს საკმაოდ ძნელ, მაგრამ სასიხარულო გზაზე კომუნისტისაკენ.

ამიტომ არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ იმათი პოზიცია, ვინც ზოტბას ასხამს ისეთ მოთხრობებს, ფილმებს, პიესებსა და სურათებს, სადაც ცალმხრივად არის გამოახული საბჭოთა სინამდვილე, ხოლო ნაკლებინებათა კრიტიკას ცვლის კრიტიკაობა, რომელიც შეუძლია მხოლოდ გულგატეხილობა დათესოს. წინ ვერ წავა ის ხელოვნება, რომელიც შეგნებულად ზღუდავს მის მიერ საკვლევ ცხოვრების მოვლენათა წერს, სჯერდება მისი მხოლოდ ნეგატიური მხარეების გამობატვას, „ნოვატორულ შემართებად“ ასაღებს თავის ბუზღუნს, იმის უნარის უქონლობის, რომ დიანახოს და ასახოს ძირითადი ტენდენციები ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენი განუხრებლად უნდა ვიცავდეთ ლენინურ ანდერსს, ვეყრდნობოდეთ სოციალისტური კულტურის შემოქმედებისათვის ძალებს, ვეერთიანებდეთ მათ პარტიულობას, ხალხურობას, რეალიზმის პოზიციებზე, თანმიმდევრულად გამოვდიოდეთ ჩვენი ხელოვნების იდეური სიწმინდისათვის, იდეოლოგიის საკითხებში მომთხოვნელობის უქონლობისა და უსახუხისმგებლობის წინააღ-

მდეგ, ბურჟუაზიული, დოგმატური, რევიზიონისტული ესთეტიკური კონცეპციების გავლენის წინააღმდეგ, საბჭოთა სოციალიზმის ურყოფის იმის ცდებს, რომ რევიზია გაუქვთონ სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, შეცვლიონ ისინი სხვადასხვა დედადენტური თეორიებით. მხოლოდ რეალისტური ხელოვნების დიდი სასიცოცხლო ძალის გავრცელებით შეიძლება აისხნას ის მიწარწევა, რომ „გამადიდრონ“ იგი მოდერნიზმი.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემოქმედებითი შესაძლებლობანი ამოუწურავია.

იმის გულისათვის, რომ სხვადასხვა შემოქმედებითი ინდივიდუალობის, სხვადასხვა სკოლისა და სტილის სამჭოთა ხელოვნებს შეეძლოდ უფრო სრულად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, გულუხვად მისცენ იგი ხალხს, — ამის გულისათვის უნასანკნელ წლებში სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკა წარმატებით იწმინდებოდა დოგმატურ დამახინჯებათაგან, რომლებიც აფერხებდნენ ხელოვნათა შემოქმედებითს. ინიციატივას. განვითარებისა და ძიების შიში, შემოქმედებაზე სუბიექტივისტურ შეხედულებათა თავს მოხვევა, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების არასწორად გავება, ცხოვრების მხატვრული კვლევის დარჯში ძნელი მუშაობის შეცვლა მიწერილობებითა და გარღამენტაციებით — ყოველივე ეს უწინააღმდეგავა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის თვით სულს. ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ლენინურ პრინციპებს.

ჩვენი დროება ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებს ხელოვნებას, მის იდეურ პოზიციებს, ესთეტიკურ დონეს, განათლებულობას, ვინაიდან ხელოვნება მასების მხატვრული კულტურის ამაღლებას მძლავრი საშუალებაა.

ზოგს დღემდე ჰგონია, რომ რაც უფრო მეტია მხატვრულ ნაწარმოებში მაღალფარდვანი „აქტუალური“ ფრაზები, მით უფრო თანამედროვეა იგი. მაგრამ უნდა განვანახავებდეთ ჭეშმარიტ პუბლიცისტურობას ლაყბობისაგან. ცხოვრების პარტიული გავება, კომუნისტური მიზანსწრაფულობა მაშინ ხდება ხელოვნების ფაქტად, როცა ხორცმცხმულია ცოცხალ მხატვრულ სახეებში, როცა ნაწარმოების მთელ ქსოვილს მსჭვალავს. ხელოვნება არსებობს მხოლოდ იდეურობისა და მხატვრულობის ორგანულ ერთიანობაში.

ნამდვილი ხელოვნება სახეთა მხატვრული სიმაართით უნდა გვარწმუნებდეს. მისთვის უტვინა როგორც ესთეტიკური თავშეკმევა ფორმის სფეროში, ისე პრიმიტიული დეკლარაციები, როგორც მისაწყენი ტინების ერთფეროვნება, ისე პომპეზურობა, კომუნისტის დიდი ხელოვნებისათვის ბრძოლაში მხოლოდ ის ხელოვანი აღმოჩნდება მოწინავე პოზიციებზე, რომლის ნაწარმოებებიც გადავივლინო ხალხის ცხოვრების ყველაზე არსებით მხარეებს მხატვრულად სრულყოფილ სახეებში, რომლებსაც შეუძლიათ აღაჯზნონ მკითხველის, მყურებლის, მსმენელის წარმოსახვა და აზრი, გადაუშალონ ადამიანს ახალი პორიზონტები, ღრმად ააღვლონ იგი.



მაგრამ არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ ნიჭიერ, მნიშვნელოვან ნაწარმოებთა გვერდით ჩნდება ისეთი თხზულებებიც, რომლებშიც შენაგანი სიციარიელ დეფარული სხვადასხვახარით ელარუნებით. ესტაროდან, რადიოთა და ტელევიზიით, სამხატვრო გამაფინებზე, პოეტურ კრებულებში მკითხველს, მშენებელს, მასურებელს ზოგჯერ სათავაზოებენ მეტრირულ, ხელოსნურ ნახევრს, რაც ნავარაუდევია ნაკლებმომთხოვნე გემოვნებით-სათვის. ზრუნვა მისების მხატვრულ აღზრდისათვის მოითხოვს შეურთიგებელ დამოკიდებულებას მეშინაობისა და უხასიაობისადმი ხელოვნებაში.

ბრძოლა ლიტერატურისა და ხელოვნების კომუნისტური პარტიულისათვის, მათი მოქალაქეობრივი პათოსისა და მაღალი ესთეტიკური კულტურისათვის ვულისხმობს კრიტიკული აზრის აქტუვობას, თეორიულ სიმწიფეს, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებას შემოქმედების პრაქტიკაში, ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლენათა ობიექტურ და ყარავდ არეუმენტირებულ ანალიზს.

მხატვრული კრიტიკა მხოლოდ მაშინ შეძლებს შესარულის თავისი დიდმნიშვნელოვანი შემოქმედებითი ფუნქცია ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების პროცესში, როცა იგი პრინციპული პარტიული მოხიციებიდან, იდეურ-ესთეტიკური კრიტერიუმების შეუსუსტებლად, შეავსებს მხატვრული შემოქმედების ყველა მოვლენას და მისცემს მას სწორ ორიენტაციას. და რაც უფრო მაღალი იქნება დისკუსიების თეორიული დონე, რაც უფრო თავისუფალი იქნება ისინი ჯგუფური მიყრდნობისა, გაბრაზებისა და მდარე გემოვნების აყოლისაგან, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

იმ მხატვრულ ნაწარმოებათა შეფასებაში, რომლებიც იდეური ხასიათის შეცდომებს შეიცავენ, არ შეიძლება პრინციპული დათმობანი და კომპრომისები. იდეათა დავაში საჭიროა პრინციპულობა და ზღვრული სიცხადე. მაგრამ კრიტიკა ვერც იმას დაივიწყებს, რომ მას საქმე აქვს საბჭოთა ხელოვნებაში. ამა თუ იმ შემთხვევითს შეცდომებსა და წარუმეტებლობაში აუცილებლად როდი უნდა ვეცდებოდეთ სინამდვილის წინასწარგანზარახულ დამახინჯებას და მით უმეტეს ჩრდილს როდი უნდა ვაყენებდეთ ხელოვანის მთელ შემოქმედებას.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაბი ხასიათდება პარტიის როგორც ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელსა და წარმმართველი ძალის სულ უფრო მზარდი როლით.

სოციალური პროცესების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე პარტიის განსაზღვრავს მხატვრული შემოქმედების განვითარების საერთო მიმართულებას, მის მიზნებსა და ამოცანებს; იგი აფასებს ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობას, შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად შედეგებს; თავის ერთ-ერთ პირველზარისხვან ამოცანად მას მიაჩნია ხელოვანთა იდეური აღზრდა.

იდეურობისა და ხალხურობისათვის პარტიის ბრძოლა, ჩვენი ხელოვნების რევოლუციური ტრადიციებისათვის

მხარდაჭერა, მცდარი მოვლენების კრიტიკა სწორად გავს და მოიწონებს შემოქმედებითა მუშაებში, ვერაფერს ესაკარნახევი იყო ზრუნული ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი ჰუმანიტარულ ნიჭიერი ძალების შეკავშირებისათვის პრინციპულ საფუძველზე. ამასთან ერთად პარტია გამოდის სუბიექტივიზმის, არაკვალიფიკურა, ნაქარევი შეფასებისა და რჩების წინააღმდეგ, არეუმენების ნაცვლად ლანძღვის წინააღმდეგ — ლენინურ პრინციპებთან შეუთავსებელი მოვლენების წინააღმდეგ.

პარტიისათვის უცნობა წინაზრახულობა ხელოვნების მოვალეებისადმი მიდგომაში, ზოგისადმი ხელოვნებურობა ან სხვეებისადმი მფარველობითი დამოკიდებულება. იგი ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს აფასებს უწინაშეს ყოვლისა მათი საქმეების, მათი ნაწარმოებების მიხედვით, კომუნიზმის იდეებისადმი მათი ერთგულების მიხედვით და დანტერესებულა იმით, რომ თვითიული ნიჭიერი შემოქმედებით მუშაოთ თავისი ნაწარმოებებით ქვეყნის მხატვრულ საუნჯეს აძლიერებდეს. ხელოვნებისადმი ხელმძღვანელობის ლენინური სტილი ვულისხმობს ფრთხილ, მზრუნველ დამოკიდებულებას ტალანტებისადმი.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში პარტიის კულისის თანმიმდევრული განხორციელება საფუძვლად უდევს შემოქმედებითი კავშირების მთელ საქმიანობას. ისინი მოწოდებული არიან პირველხარისხოვან ყურადღებას აქცევენ იდეურ-შემოქმედებითს საკითხებს, აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფას, მარქსისტული-ლენინური თეორიის პროპაგანდას. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელი იმ პირობით, თუ შემდგომ განვამტკიცებთ კოლექტიურ საწყისებს შემოქმედებითი კავშირებისადმი ხელმძღვანელობაში, მოვაწყოთ საქმიანი და მიზანდასახულ დისკუსიებს იდეურ-შემოქმედებითი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე. ხომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი ლიტერატურისა და ხელოვნებაში შემოქმედებითი ძალების ნამდვილი და არა ყალბი კონსოლიდაცია.

საზოგადოებრიობა დანტერესებულია იმით, რომ შემოქმედებითი კავშირებში მუდამ მტკიცდებოდეს ატმოსფერო პრინციპული, ამხანაგური მომთხოვნელობისა, ყველაზე ნიჭიერის, ნოვატორულისადმი მეგობრულ მხარდაჭერისა, მუშავედბოდეს იმის უნარი, რომ ფართო აქტივის ძალებით კომპეტენტურად წყდებოდეს დიდმნიშვნელოვანი იდეურ-შემოქმედებითი საკითხები. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეიძლება თავიდან ავიცილოთ იდეური შეცდომები და ჩაჯარღობა.

პარტია, ხალხი ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს შთააგონებენ ვეროდენენ შემოქმედებას კომუნიზმისათვის, საზოგადოების კეთილდღეობისათვის. შევიძლია ეკვი არ ვიჭონიოთ, რომ საბჭოთა მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მუშაკები თავიანთ ნიჭს მოახმარენ ახალ შესანიშნავ ნაწარმოებთა შექმნას, რომლებიც ღირსეულად ასახევენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის საქმიან სიდიდეს.

„პრავდა“, 9 იანვარი



საბჭოთა ადამიანების წინაშე დასახული მთავარი ამოცანის — დიდი კომუნისტური მშენებლობის გაშლა. — არის ის ძირითადი მოთხოვნა, რომლის წარმატებით განხორციელებაც განაპირობებს მთელი ხალხის ერთობლივ სულიერ და მატერიალურ ზედინერებას. იმაზე, თუ რა ახალი მონღომეობითა და სიბეჯითით იმუშავებს თვითეული მუშა და კოლმეურნე, მეცნიერი და ინჟინერ-ტექნიკოსი, მასწავლებელი თუ ექიმი, აგრონომი თუ მშენებელი, ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფო გეგმების ხორცშესხმა, ხალხის სასიკეთოდ გამიზნული დოვლათის დაგროვება, სულიერი და მატერიალური სიუხვის დონის ამაღლება.

საბჭოთა საზოგადოების წინსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მხატვრულ ინტელიგენციას, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, რომელთა შემოქმედება დიდად ეხმარება კომუნისტების მშენებელი ადამიანების მხატვრულ-ესთეტიკურ სრულყოფას, ფიზიკური და გონებრივი ფორმების მებრძოლთა ჯანსაღი სულით აღზრდას. ხელოვნება განსაკუთრებულ როლს ასრულებს ამჟამად, როცა პარტია და მთავრობა ახალ ღონისძიებებს ამზადებს და ატარებს მხატვრული შემოქმედების ფორმის კიდევ უფრო გასამკაცებლად, სახელოვნო ორგანიზაციების მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად. ასეთ ვითარებაში თვითეული სახელოვნო დაწესებულების წინაშე ისახება კონკრეტული ამოცანა, — ყოველმხრივ დაცული იქნას სახელმწიფო დავალებათა დროული შესრულება, გაიზარდოს შემოქმედთა პირადი მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოებრივისადმი და კოლექტივის ზრუნვა თვითეული ინდივიდისათვის. ამ მხრივ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს საქართველოს შემოქმედების კავშირებში, თეატრებსა და კინოხელოვნების დაწესებულებებში. ახლა უკვე აღარ შეიძლება, რომ თეატრისა თუ კინორეჟისორების შემოქმედების ზღვზე მარტო მათი ხელმძღვანელები ზრუნავდნენ: უნდა ზრუნავდეს მთელი კოლექტივი, დიდი და პატარა მუშაკი; შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში ჩაბმული უნდა იყოს ყოველი შემოქმედი, ტექნიკური და ორგანიზატორული მუშაკი, რომელთა ერთობლივობა, სოლიდარობა და საერთო სახელმწიფოებრივისადმი ზრუნვა ავლილად გასახორციელებელს გახდის ყველაზე მძიმე და ყველაზე რთულ ამოცანებსაც კი.

ამ მხრივ გარკვეული მუშაობა წარმოებს რუსთაველის თეატრში, რომლის კოლექტივის ყოველი წევრი, დაწყებული საარქიტექტორო კოლექტივიდან და დამაჯერებელი ახალგაზრდა მსახიობით, ფიქრობენ და იღვწიან იმისათვის, რომ შექმნან ხალხისათვის საჭირო და საინტერესო სპექტაკლები, მაგრამ უკვე მრავალი თვე გავიდა და ახალ სპექტაკლებს ჯერ კიდევ პირი არ უჩანთ. დიდი მონღომეობით მუშაობენ მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედნიც, თეატრის ძველი და ახალი წევრები, ისინი, ვინც უკვე შექმნეს არა ერთი საინტერესო სპექტაკლი თუ იერსახე, და ისინიც, ვინც სადებიუტოდ ემზადებიან. საინტერესო შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს ოპერისა და ბალეტის თეატრში, გრიბოედოველთა და თბილისის სხვა თეატრალურ კოლექტივებში, რომელთა ნამოღვაწარი უკვე ისინი და თბილად მიიღო მაყურებელმა.

ასალი წლის პირველსავე დღეებში თავიანთი შემოქმედებით ანგარიშით წარსდგნენ საქართველოს მხატვრები. მიუხედავად იმისა, რომ თეატრების მიწურულში გაიხსნება დიდი თეატრური გამოფენა „სამშობლოს სადარაჯოზე“, ამას წინ უსწრო სამხატვრო გალერეაში მოწყობილმა „საშემოდგომო“ გამოფენამ წარმოდგინილი იყო თითქმის ყველა იმ მხატვართა ნაშუაგებები, რომლებიც თებერლის გამოფენაზეც გამოიფინებიან, მაგრამ საინაზროდ გამოტანილ ტილოებსა თუ ქანდაკებებში, გრაფიკულ თუ კერამიკულ ნაწარმებებში, ბოლომდე არის ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი, რაც ჩვენი მხატვრების საერთო დონის სიმბოლურ მეტყველებს.

ხელოვნება

ხალხისათვის



სალი შემოქმედებითი აღმავლობით შეხვდა საბჭოთა ხალხი 1965 წელს, როცა კიდევ უფრო მეტ სულიერ და მატერიალურ წარმატებებს მოიპოვებენ კომუნისტების მშენებელი ადამიანები.

1965 წლის პირველსავე თვეს დაიწყო თანმიმდევრული, რიტმული იერიში სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად, ხალხის საკეთილდღეოდ გამიზნული დოვლათის განამრავლებლად, სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვის გასაძლიერებლად, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩაგრული ხალხებისადმი დამხრების გასაზრდელად, სოციალისტურ ქვეყნებს შორის მჭერი კავშირის კიდევ უფრო გასამკაცებლად, მშრომელ მასებს შორის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გასაღვივებლად.



სამედიცინო და საგანგებო გამოყენების მოწყობა უკვე ტრადიციად იქცა. მხატვრები სულ უფრო მეტი ინტერესით მონაწილეობენ ასეთ ექსპოზიციებში, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს მათი პროფესიული ოსტატობის ამაღლებას, შემოქმედებითი პროცესის რიტმულობის ზრდას. მაგრამ უნდა მივხვთ, რომ ამ სახის გამოფენის მონაწილეებს უნდა მიეცეთ მატერიალური და მორალური დაინტერესების სტიმული. ამისათვის საჭიროა გამოიძიონ საშუალებები, რათა გამოფენებზე გამოჩნდეთ მხატვრთა ჯგუფი პრემიერ-ბული იქნას, ან ადინიზმის სპეციალური სივრცეებით. შეიქმნას მათ გარემოში საზოგადოებრივი სტიმულისა და წასალი-სების ამბოსფერო.

ასეთივე მორალური დაინტერესების სტიმულატორების ფუნქცია უნდა შეასრულოს სპეციალურმა საკუთრივ ჯგუფებმაც, რომლებიც, აღნიშნავენ და აღნიშნავენ აქტიურთა მიერ შემწილი საკუთეს სტენურ სახეებს, სეზონის საკუთესო ჩოერულ სივრცეებს, სეზონის საკუთესო დადგმებს, გამორჩეულ დრამატურულ ნაწარმოებებს, მუსიკალურ თუ ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებს.

საბჭოთა ადამიანები სოციალისტური შეგნებით უფლებიან მათე დაისრულონ მოვალეობის შესრულებას, ისინი ამისათვის უზრუნველყოფილინი არიან. მტკიცე შრომით ანაზღაურებასთან ერთად სოციალიზმის პრინციპი მოითხოვს, რომ მორალური და მატერიალური დაინტერესება ყველგანის თვალსაჩინოდ ჩანდეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში, ხალხს აღნიშნავდეს იმას, რაც მას მოსწონს, უყვარს და ახარებს. შარშან რუსთაველის თეატრმა მუშაობა ისე წარმატა, რომ შესძლო შემოქმედებითი კოლექტივის თითქმის ყველი წევრი მატერიალურადაც ადვილდოების. რუსთაველთა ეს პრაქტიკა ჩვევად უნდა იქცეს, რაც გარდას რეორტე შემრულებელთა დაინტერესებას, ისე შემოქმედებითი კოლექტივების ხელმძღვანელთა უზარინობისა და თადარიგანობის ამაღლებასაც.

ამ მხრივ სახელოვნო დაწესებულებების მსევერებმა მტკიცე საუბრეტუარო და საფინანსო დისციპლინა უნდა გააატარონ. მიუხედავად მცირე სახელმწიფო ოტაკციისა, რომელსაც თეატრები იღებენ, სააბონემენტო სისტემის მოწყობიანებ თეატრებს მაინც შეუქმნა გარკვეული ფინანსური სიმშვიდე. მაგრამ სწორედ ასეთი გარანტირებული ფინანსური ბაზა უნდა ავალბედთ თეატრის ხელმძღვანელებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა იზრუნონ სარეპერტუარო პორტფოლის შესაქმნელად, პიესების მისაღებად და წარმოებაში ვრავიკის მიხედვით ჩასაშვებად. სამწუშაროდ, ზოგჯერ შეიმჩნევა, რომ ამ თუ იმ თეატრის ხელმძღვანელობა, უზრუნველყოფილია სააბონემენტო შემოსავლით, ეყრდნობა და იმევე სახელმწიფოების სპექტაკლების უჩვენებს მაყურებელს, სთავაზობს უკვე გასულ წლებში რამდენჯერმე შეთავაზებულ პიესებს. ასეთი ანაწილიანი პოლიტიკის შედეგად აბინირებულ მაყურებელი ან ძალაუნებურად ხელმწიფედ ესწრება ნანახ წარმოდგენას, ან სრულიად ხელს იღებს მორიგ სპექტაკლზე და თავის პროტესტით ავლენს, რომ მისი სკამი დაუკავებელი რჩება, დარბაზი სანახევროდ ცარიელიდება.

საბჭოთა მაყურებლის ინტერესთა სახელოვნო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. თეატრების ხელმძღვანელებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენონ ბიოკრატ მაყურებლის მოთმინება, რადგან ასეთი მოქმედება

აკვილებივე თავს იჩენს მომავალ სეზონში, რითაც ურტი თეატრი ფინანსური სიმძლეების წინაშე აღმონდება.

ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მეტი დაბალბული მუშაობა ახალი პიესების შესაქმნელად, მეტი დრობა და გაბედულება თეატრში მოსული ახალი რეჟისორულ ძალებთან, მეტი რიტმულობა და წარმოებაში ჩაშვებული სპექტაკლების შექმნის ვადების მტკიცედ დაცვა. უნდა ვგასთვდეთ, რომ შემოქმედებაც ორგანიზატორულ დისციპლინის გამოჩინდება და სპექტაკლების გამოშვების ვადების გაჯიანურება დასაგმობი ავადმყოფობაა, დიდი ნაკლია.

ნაკლი კი არც თუ ცოტა გავაზიანა. პირველყოფილისა, ეს შეიმჩნევა კართო სცენური დისციპლინის შესუსტებაში. ცოტა როდია შემოხვევები, როცა აქტიორები რეპეტიციებზე უყურადღებობას ავლენენ, ავგინებენ. აცდენენ კიდევ. ზოგჯერ ეს გამოწვეულია იმით, რომ არ მყარდება ბუნებრივი კონტაქტი დრამატურული ნაწარმოებთან, რეჟისორ-დამამელსა და აქტიორ-შემსრულებელს შორის. ასეთ შემთხვევაში თეატრის ხელმძღვანელობას, სამხატვრო სამჭოს, სარეჟისორო კოლეგიას ბეჭერ საზრუნავი უნდებიათ, და იმაზე თუ, რა ზომიანა და როგორი ოტანტეულითი განხორციელებას ეს, მგზავდ იქნება გადაწყვეტილი მომავალი სპექტაკლის წარმატება-წარუმატებლობის ბედი.

ამგანად უფრო მწვავედ, ვიდრე ოდესმე დგება ორიგინალური რეპერტუარის შექმნის საკითხი. მცდარია შეხედულება, თითქმის თანამედროვე რუსული პიესების გადმოქართულება უფრო მეტ ინტერესს წარმოშობს მაყურებელში, ვიდრე ჩვეულებრივ თარგმნილი პიესების ქართულ სცენაზე განხორციელება. ის, რომ ზოგიერთი ნათარგმნი პიესა წარმატება არ მოჰყვა, სრულიადაც არ იყო გამოწვეული გადმოქართულებლობით, არამედ იმით, რომ თეატრის ხელმძღვანელები საჭირო ყურადღებას არ აქცევდნენ თანამედროვე თემატების პიესის დადგმას და დამდგმებელ რეჟისორებზე ვერ ავლენდნენ მთელ უფროსი შესაძლებლობებს.

თავი მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვეობის თემატიკას, ორიგინალურ და თარგმნილ რეპერტუარს, რომლის თაოსნურად და გაბედულად მზარდაჭერა საჭარბოვლის თეატრებს ფართო მოვლავიობას და მოწინების ასპარეზს შეუქმნის.

მიმდინარე წელს მუშაობას შეუდგა საქართველოს კკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შექმნილი, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომიტეტი. გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის იუბილისათვის მზადებამ თავისი კვალ უნდა დააჩინოს საქართველოს ხელოვნების ყველა დარგს. ყოველი ხელოვნების ვალა ამ დიდი საზეიმო თარიღის მოთხოვნის სიმაღლიდან შეხდის საკუთარ შემოქმედებას, მხატვრული ოსტატობისა და იდეური მიზანდასახულობის მწვევალები-საგენ უნდა გავმზინოთ მთელი ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის შემართება.

ასალი, 1965 წელი ყველგლმხრივ სასარგებლო და დოვლათიანი იქნება ჩვენი ქვეყნის ყველა დარგში. უძგზისავლიან უნდა იყოს იგი ხელოვნებაშიც. ამის თათვიანა საჭარბოვლის ხელოვნება ინიჭი და მონდომება, მათი დრმა სიყვარული ხალხისაში, მტკიცე კავშირი ცხოვრებასთან, რომლებთანაც კონტაქტში კიდევ ბევრი კარგის მოწინა იუნიტებში, ნაკლისა და უპირობო მუშაობის უკან მიმტოველებიც ვაგნდები.



ს აბჭოთა ხალხს შემოქმედებითი ბრძოლის ყველა უბანზე მუდამ გზის მახათობელი ძლიერი და ჩაუქრობელი ლამპარი უნთია. ეს არის მეცნიერული კომუნისმის დიდი მოძღვრება, ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეები, რომლის განმახორციელებელი და ხორც-შემსხმელი დიდი ლენინი იყო.

ლენინი დღესაც ჩვენთან არის, მისი მოძღვრება გვეხმარება წარმატებით ვაშენოთ კომუნისტური საზოგადოება, ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელშიც სისხლსაცხედ ვლინდება თვითიული მშრომლის ხილვადი და უხილავი შესაძლებლობა, არანახულად იზრდება და მტკიცება სიკეთე და დღვალათიანობა, იწყინდება ადამიანი და მალღდება მისი სულიერი და ფიზიკური მონაცემები.

ლენინი კომუნისტური პარტიის შემქმნელი და საბჭოთა სახელმწიფოს დამარსებელია. იგი პირველი ადამიანი, ვინც პირველი აგური მიიტანა მარქსისტულ-ლენინური ორგანიზაციის საძირკველზე. მაგრამ იგი ამასთან იმდენად თავმდაბალი იყო, რომ არც უფიქრია № 1-ლი პარტიული ბილეთის მიღებაზე, ამით აიხსნება რომ 1917 წლის 3 (16) აპრილს ემიგრაციიდან დაბრუნებისას ლენინმა ჩაიბარა ვიბორგის მხარის რაიკომის მიერ გამოწერილი პარტიული № 600, ხოლო 1920 წლის იანვარში ერთიანი ფორმის შემოღებისად დაკავშირებით

გამოვლინება — აი ის, რასაც უნდა ემსახურებოდეს, ზრდიდეს და ამაჯობდეს სოციალისტური საზოგადოების ხელოვნება, საბჭოური თეატრი და კინო, მხატვრობა და ქანდაკება, მუსიკა და ლიტერატურა. ხელოვნების ყოველი დარგის მოღვაწე ლენინური მოქმედების ნორმებით უნდა ხელმძღვანელობდეს, როცა ქმნის და წირს ხალხის ცხოვრებაზე, ძერწავს მშრომელი ადამიანების აწმყო-მომავალს. ლენინური იდეები უნდა ანათებდეს გზას, რომლის შემწეობით ადამიანები უმოკლესი გზით მიაღწევენ დიდი კომუნისტური საზოგადოების მიჯნას.

ლენინური იდეებით ხელმძღვანელობა ნიშნავს გიყვარდეს და უფრთხილდებოდე ხალხის ბედს, ზრუნავდეს მასზე, მოქმედებდე მისი კეთილდღობისათვის. აი, ეს ამოცანა დაუსახა საბჭოური ხალხს კომუნისტურმა პარტიამ, ეს ამოცანა დაუსახა საბჭოელ ხელოვანთაც. მით უფრო საბატიო და სასახუსისმგებლოა ახლა ჩვენი ქვეყნის ხელოვნების მუშაკთა წინაშე დასახულ მოთხოვნათა გადაჭრა. ახლა კიდევ უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ ხელოვნების მაღალი პარტიული იდეებით წარმართვაზე, ხელოვნების ხალხთან კიდევ უფრო მეტად დაკავშირებაზე, ხალხის ცხოვრების ლენინური სიფაქიზით, სიყვარულითა და მზრუნველობით დასახატავად, ვიზრუნოთ იმაზე, რაც გვიანდერძა ლენინმა, რისი განხორციელებისაკენაც

ლენინური იდეების შთაბავონებაელი კალა

ლენინს შეხვდა პარტიული ბილეთი № 527. 1922 წლის ნიშუსის პარტიულიების შემოღების შემდეგ კი ლენინს მიიღია № 224, 332, № 114, 482.

ლენინს ასეთი თავმდაბლობა ყველაფერში ვლინდებოდა. რა ენებზე ლაპარაკობთ, კითხულობთ და წერთ? — და ლენინიც პასუხობდა სასაქეო კითხვებს: ფრანგულზე, გერმანულზე, ინგლისურზე, სამივეზე ცუდად. მაგრამ ესეც მისი ჩვეულებრივი თავმდაბლობა იყო, რადგან კარგად იცოდა სამივე ენა და, ამას გარდა, თავისუფლად ფლობდა ლათინურს, ბერძნულს, პოლონურსა და შვედურ ენებსაც. კითხვაზე, თუ რაში გამოიხატებოდა მისი მონაწილეობა ოქტომბრის რევოლუციამ? — ლენინი ასევე თავმდაბლურად უპასუხებდა: რომ არის „ცენტრალური კომიტეტის წევრი“, მაგრამ არას ამოხობდა, რომ იგი თვით რეპორტაჟის შემოქმედი იყო. მაგალითებიც ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი თავმდაბლობის ნიშუსს იძლეოდა ლენინი, და როგორ სძულდა მას მოჩვენებითად, რევოლუციურად ხმაურითანი ადამიანები, ვინც წამდაუწყებ გაიახობდა საკუთარ დიდ იდეურობაზე, პირად და მსახურებაზე და ყოფლისმცოდნეობაზე. ლენინური თავმდაბლობის გზას აგრძელებს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია და მით უფრო კარგაია, როცა იგი ებრძვის ყოველგვარ მოტარებას, ყბედებს, საქმოსნებს, სიტყვიით ქვეყნას აშენებს რომ ბრძიდებთან, საქმით კი ხალხის იდეურ და მატერიალურ სიძლიერეს ძიოს უხერხად.

ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ლენინური ნორმების დანერგვა, ადამიანებისადმი ლენინური ზრუნვის

მიგვითითებს მისი პარტია, დიდი კომუნისტური პარტია.

მაგრამ იმისათვის, რომ ხელოვნება ხალხს მიუძღოდეს, გზას უნათედეს, ამხნეებდეს და სულიერ ძალებს მატებდეს, საჭიროა თვით ხელოვანი ეუფლებოდეს ლენინური იდეებს, ლენინის მოძღვრებას, მეცნიერული კომუნისმის საფუძველებს. საჭიროა საბჭოთა ხელოვანთა არამოგულდასმით სწავლობდეს კომუნისტური მწეწეებლობის თეორიასა და პრაქტიკას, უკვირდებოდეს, ანალოზს უკეთებდეს პარტიის პროგრამით გათვალისწინებულ დიდად ამოცანათა ხორცშესხმის პროცესს და ახალ ახალ ძალებს აუღვინდეს მომავალ ამოცანათა გადასაჭრელად, აწმყოში მერმისის გამარჯვების პირობებს ამაზადებდეს და წარსულში მერმისის წარმატებების მასაპოყებულ ნაკვალევს აუღვინდეს.

ამის მიღწევა ძნელი არ არის, თუ გულდასმით შევისწავლით პარტიის პროგრამას, ლენინის თხზულებებს, კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებს, რომლებიც გვითავებებენ კომუნისმის გამარჯვებას. ასეთ ვითარებაში უფრო დიდი ამოცანები დას ჩვენი სახელოვანი პრესის, კერძოდ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ წინაშე, რომელიც მოწოდებულია ცალკვად პარტიის ერთგულ თანაშემწედ რჩებოდეს, პარტიის გეზს მისდევდეს და ამ სწორი გზით მითხველთა მასებიც მიჰყავდეს, რომ მისი შემწეობითაც პარტია თავის სულიერ და ორგანიზაციულ კავშირს ამაყარებდეს ფართო მასებთან, გონებრივი და ფიზიკური შრომის ადამიანებთან.

სცენა მარჯანიშვილის
თეატრის სპექტაკლი-
დან „მკვდრის მზე“.
თენგიშ კობიაძე (ცენ-
ტრში) — გ. ციცი-
შვილი



უკვდავეების გზაზე

(გ. შატერაშვილის „მკვდრის მზე“ მარჯანიშვილის სახ. თეატრში)

ლიმიტრი ქუსიშვილი



მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მიმდინარე, 1964-65 წლის თეატრალურ სეზონში წარმოვიდგინა ახალი სპექტაკლი — გიორგი შატერაშვილის პიესა „მკვდრის მზე“. ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. ყოველი თეატრი ცდილობს სეზონის გახსნის პირველ დღეებში მაყურებლის წინაშე თავისი საუკეთესო ახალი დადგმით წარსდგეს. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ თეატრმა სეზონი კარგად დაიწყო. ნიჭიერმა კოლექტივმა პიესის ავტორთან ერთად ღრმა შინაარსის, ემოციური და სანახაობრივად დახვეწილი სპექტაკლი შექმნა.

მოთხრობა „მკვდრის მზემ“, რომელიც საფუთვლად დაედო ამავე სახელწოდების სპექტაკლს, დიდი ხანია საზოგადოებრიობის აღიარება და სიყვარული დაიმსახურა, როგორც ღრმა ფილოსოფიური შინაარსის ეპიკურმა ნაწარმოებმა. იგი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა მასში დასმული სიცივილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემის სწორი გაშუქებით. ადამიანმა ღირსეულად უნდა იცხოვროს, რათა ღირსეულად შეხედეს სიცივილს. მოთხრობის გმირები თვალისწინივით უფროსილ-დებიან ვაჟკაცის სახელს, თავს არსად შერცხვენენ, თავმოყვარეობას არავის შეალაზენიებენ. დრამატიზმით აღსავსე სიუჟეტურმა სიტუაციებმა საშალებმა მისცეს ავტორს ეპიკური ნაწარმოები დრამატულ ნაწარმოებად, ტრაგედიად გქცია.

შველთაგან ცნობილია, რომ ჭეშმარიტი დრამატული ნაწარმოები შეიცავს ეპიკურის ყველა ელემენტს, თუმცა ის, რაც ტრაგედიაშია, ყველა როდია ეპოსში. ამის შესახებ არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ წერდა: „...ის, რაც აქვს ეპიკურ პოეზიას, იმყოფება ტრაგედიაშიც. ის კი, რაც ტრაგედიაშია, ყველა არ არის ეპოსში“¹. ეპიკურის და დრამატულის განრობრივმა მსგავსებამ საშალებმა მისცა გიორგი შატერა-

¹ არისტოტელე, პოეტიკა, თბ. 1944, თარგმანი ს. დანელაისი, გვ. 13.



შვილს იყვანა და გადარჩა. მოთხრობა-ამბავი ტრაგედიაა, რომ პირველმა არამც თუ რამე წააგო, არამედ ერთგვარად მოიგო კიდევ. ეს გასაგებია, რადგან ეპიკურსა და დრამატულს შორის მსგავსებას გარდა, საკმაო განსხვავებაც არსებობს. ეპიურმა ნაწარმოებმა დრამატულად გადაკეთების შემდეგ მეტი ემოციურობა და ზემოქმედების ძალა შეიძინა, იმ სპეციფიკური ხერხების გამოყენების გამო, რაც მხოლოდ დრამატული ჟანრისათვის არის დამახასიათებელი. კარგად დამუშავებული დიალოგების, მოთხრობილის მოქმედების საშუალებით გადმოცემით ეპიური ნაწარმოების გმირებმა ტრაგედიაში ხორცი აისხეს და მეტი ტიპიურობა და დამაჯერებლობა შეიძინეს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეპიკური ნაწარმოების დრამატულად გადაკეთების ამ ცდამ კარგი შედეგი გამოიღო.

რამდენიმე სიტყვა გიორგი შატერაშვილის პიესის „მკვდრის მისი“ ჟანრობრივი არის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დრამატურგიამ ორმოცდაშვიდი წლის განმავლობაში დიდ განვითარებას მიაღწია და საყოველთაო აღიარება ჰპოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მაინც შეინიშნება ერთგვარი ჩამორჩენა დრამატული ჟანრის ისეთ სახეობაში, როგორცაა ტრაგედია. საბჭოთა დრამატურგები და თეატრები სხვადასხვა მიზეზების გამო ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ მის განვითარებას. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ტრაგედიის განვითარებას ვერტოფოდებულმა „უკონფლიქტობის თეორიამ“, რომელიც წლების განმავლობაში აშუქრუჭებდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარებას. მეორე

მხრივ, ლიტერატორთა ერთი ჯგუფი ცდილობდა სინამდვილის გალამაზებულად წარმოდგენას და, ცხადია, ტრაგედიისათვის, როგორც დრამატურგიული სახეობისათვის, ადგილი აღარ რჩებოდა. ვფიქრობთ, ახლა უკვე დადგა დრო ტრაგედიის, როგორც დრამატურგიის, ერთ-ერთი ქმედითი სახეობის განვითარებისთვისაც. მაგრამ, შეიძლება აქა-იქ კიდევ არიან შემორჩენილი ვაი-კრიტიკოსები, რომლებიც იტყვიან, რომ ლიტერატურა ცხოვრებას ასახავს, ჩვენ სოციალისტურ სინამდვილეში კი ტრაგიკული ამბები ტიპიური არ არის და მაშასადამე, ტრაგედიასაც, როგორც დრამატურგიის სახეობას, არავითარი საკვები არა აქვს და მას არც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ლიტერატურაში. ასეთმა მცდარმა და ზერელე შეხედულებამ დიდი ზიანი მიაყენა საბჭოთა დრამატურგიას და შედეგად თვალნათლივ ჩანს: ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა კომედიები, დრამები და ისეთი პიესებიც, რომლებსაც არავითარი დრამატურგიული ჟანრის დამახასიათებელი ნიშნები არ გააჩნდათ. მაგრამ ტრაგედიები დღესაც თითოზე რამოსათვლელი გვაქვს.

ზერელე, მაგნე შეხედულებას ტრაგედიის ადგილსა და მის როლზე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში ჩვენ შევევლია დავუპირისპიროთ შემდეგი მოსაზრება: რაც არ უნდა იდგა საზოგადოებრივი წყობილება შეიქმნას, როგორც არ უნდა შესუსტდეს კლასობრივი წინააღმდეგობანი, ცხოვრებაში მაინც ექნება ადგილი ტრაგიკულ მოვლენებს, ტრაგიკულ სიტუაციებს. შესაძლებელია, ეს ტრაგიკული მოვლენები ნაკლებად იყვნენ გაპირობებული სოციალური მოტივით, მაგრამ ტრაგიკული სახეობისადმიანათა საზოგადოებაში ყოველთვის იქნება საკმარისი საფუძველი და

საზრდო. ტრაგიკული იარსებებს მანამდე, სანამ არსებობს კაცობრიობა, ბრძოლა ახალსა და ძველს, ადამიანსა და ბუნებას შორის, ბრძოლა პროგრესისათვის.

დრამატურგ გიორგი შატბერაშვილისა და მარჯანიშვილის თეატრალური კოლექტივის დამსახურებას, უპირველესად ყოველისა, ჩვენ იმაში ვხედავთ, რომ მათ „მკედრის მუხის“ სახით შექმნეს თანამედროვე თემაზე დაწერილი ტრაგედია და ამ მხრივ პირველ მერცხლებად მოგვევლინენ. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მას სხვა მერცხლებიც მოჰყვებიან და ქართული თეატრების რეპერტუარი ღრმა იდეური და მალა-მხატვრული ტრაგედიებითაც შეივსება.

ახლა ვნახით, თუ როგორ გადაჭრეს დრამატურგმა და თეატრმა ის დიდი ამოცანა, რომელიც მათ წინაშე იდგა თანამედროვე ტრაგედიის შექმნის საქმეში.

არისტოტელეს აზრით, ტრაგედია სიბრალულისა და შიშის ციფხალი ემოციები უნდა გამოიწვიოს მაყურებელში. ამ საზომით თუ მივხედვებით „მკედრის მუხის“, იგი ჭეშმარიტი ტრაგედიაა, რადგან მაყურებელში სიბრალულისა და თანაგრძობის ღრმა ემოციებს იწვევს. ამის საუკეთესო დადასტურებაა მაყურებელთა რეაქცია, განაბული დარბაზი დაძაბულად ადევნებს თვალყურს აქტივითა ყოველ მოძრაობას, სულგანაბული იჭერს ყოველ სიტყვას. აქა-იქ მანდილოსნების თავშეკავებული ქეთიანი ისმის, მამაკაცები მალულად ცრემლებს ყლავავენ. მაყურებელი შეპყრობილია, დატყვევებულია იმ დიდი ტრაგედიით, რომელიც სცენაზე მიმდინარეობს.

არისტოტელე ტრაგედიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანდებულად მაყურებელში კათარზისის, ანუ განწმენდის მოქმედების გამოწვევას. ამ მხრივაც გიორგი შატბერაშვილის მიერსა ჭეშმარიტ ტრაგედიას წარმოადგენს. ფარდის დაშებისთანავე გრძნობს საოცარ სიმსუბუქეს, აღმაფრენას, მორალურ განწმენდას და ეს სასიამოვნო განცედა დიდხანს რჩება შენში.


აქ არ შეიძლება არ გავისსენით ნიკოლოზ ტინოზოვის შეფასება, რომელიც მან მოთხრობა-ამბავს „მკედრის მუხის“ მისცა: „Она пахнет, эта повесть, замлей, старыми деревьями, холодом камня, но, как ни странно, мрачное ее содержание не отягощает...“

ეს სიტყვები, უფრო მეტად შეეფერება ტრაგედია „მკედრის მუხის“. მართლაც, მაყურებელი დამძიმებული სულით, დანადგლიანებული კი არ ტოვებს დარბაზს, არამედ ყოველგვარი უსიამოვნო, დათრეულიანი გრძნობისგან განწმენდილი, განთავისუფლებული და ამბობს.

ეს კი, როგორც არისტოტელე ამბობდა, ჭეშმარიტი ტრაგედიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ახლა შევეცადით გაავარკვიოთ, თუ რა არის „მკედრის მუხის“ ტრაგიზმის საფუძველი, ანუ რა ხასიათს ატარებს მასში წარმოდგენილი ტრაგიკული ამბავი.

პიესის მოქმედება იმდენა შუაგულ ქართლის ერთ-ერთ სოფელში. ამბავი, რომელიც ორი აქტის განმავლობაში მაყურებლის წინაშე ვითარდება, მარტვიანი, მაგრამ უაღრესად დრამატული.



გიორგი შატბერაშვილი

რიგითი გლეხის გიორგი კობაიძის სახლში ერთადერთი ვაჟი თენგი კობაიძე იზრდება. როდესაც თენგი გაიგებს, რომ საჯილდოო ქვა, რომელიც სოფლის მოედანზე გდია, ოდესღაც ნოსტელმა კალატოზმა ხისამზარელომ ასწია, გადაწყვეტს გაიმეოროს მისი გმირობა. თენგი კობაიძემ ასწია ეს ქვა და ხისამზარელოს გაუტოლდა, მაგრამ იცივ ხისამზარელოთ დაიღუპა. ეს არის და ეს, მაგრამ ამ უბრალო სიუჟეტის გაშლილ დრამატურგმა და თეატრმა დიდი განზოგადების მქონე სპექტაკლი შექმნეს. მწერლის მთავარი დამსახურებაა, რომ მან შესძლო საკაცობრიო კლერობის მქონე ტრაგიკული სიტუაციის შექმნა და მას მყარი, დამაჯერებელი საფუძველი მოუნდა საქმის არის, რომ გმირობა, სასახელო, არაჩვეულებრივ საქმის ჩადენა ადამიანისაგან სულიერი და ფიზიკურ ძალთა უჩვეულო მოზილიზაციასა და დაძაბვას მოითხოვს, ხშირად კი მსხვერპლსა და თავგანწირვას. უფითი წარმოდგენით, რომ აღარ არსებობენ ისეთი პიროვნებანი, რომლებიც მათვე ძლიერ მტერს წინ აღუდგებიან, რომლებსაც ეყოფათ გამბედაობა, ვაჟაკობა შეევიდონ იმ დაბრკოლებებს, რომლებიც წინ არის აღმართული, რომლებიც მთელ თავის სულიერ და ფიზიკურ ძალებს დაძაბავენ და თავსაც შესწირავენ მათ დასაძლევად. მასინ მტერი დაგვთრგუნავდა, წინააღმდეგობები შეაჩერებდნენ ჩვენს მოსვლას. შერკინებას, შევიდვას კი ხშირად მსხვერპლი წინსდევს. მსხვერპლი კი, როგორც ცნობილია, ტრაგიკულია. მაგრამ ეს არის აუცილებლობით გამოწვეული ტრაგედია. აი, სწორედ ასეთი ტრაგედია უდევს საფუძვლად

2 Георгий Шатберашвили, „Корни и ветви“, Советский писатель. М. 1963 г. предисловие Н. Тихонова. стр. 6.



ნინო — მ. მახვილაძე
მთხრობელი ტ. საყვე-
რელიძე

გიორგი შატერაშვილის პიესას.

თენგივ კობაიძემ სცადა იმის დაძლევა, რასაც სხვები, აგერ უკვე ასი წლის განმავლობაში ვერა სძლევდნენ. მან სძლია, სძლია და დაიღუპა. მისი დაღუპვა გამოუსწორებელი უბედურებაა თვით მისთვის, მისი მოზოლებისათვის, სატრფოსთვის, მაგრამ ეს მაინც პირადი ტრაგედიაა, ხოლო საზო-



ინოს ბივი — შ. სხირ-
ულაძე, გიორგი —
ა. ომიადე

გადღებრივ ინტერესებთან მიმართებაში, თენგოს გვირობა უკვდავებას ნიშნავს, რადგან მან შეუძლებელი შესძლო, თავისი სიკვდილით სიკვდილი დაამარცხა და როგორც გვირობა, ხალხის სსოფანში უკვდავება დაიმკვიდრა.

არსი თენგივ კობაიძის იმ ვაჟკაცური შემართებისა, რომელიც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა, კარგად გადმოსცა ავტორმა მოხუცი გლეხის სიტყვებით.

— თვედორე დაჰყურებს თენგივ კობაიძის ცხედარს, რომელსაც გულზე მის მიერ აწეული ლოდი ადევს და ამბობს:

— „მთელი სიცოცხლის სამყოფი ძალა ერთ წუთში დაუხარჯია და აუწევია კიდევ...“

იგივე ასწლოვანი თვედორე შემდეგი სიტყვებით ანუგეშებს მწუხარებით გულდაწყვეტილ მამას:

— „იმაგრე-მეთქი, გიორგავ, ამ კოხტა ჭაბუკს საჯილდაო ლოდი აუწევია და მგედრად აღარ ითქმის. ეს ლოდი ღვთის ნათლულების ღონის საცდელია. შენი შვილის სახელი დღეიდან იქა სწერიან... ცაში“.

საჯილდაო ჭკა, რომელსაც საქართველოში ყოველი სოფლის მოედანზე შესვლით, გიორგი შატერაშვილის პიესაში დაუძლეველი დაბრკოლების, გადაულახავი წინააღმდეგობის, საძნელი საქმის სიმბოლოა, ამიტომ იგი ვაჟკაცობის, უშიშარი შემართების, ნებისყოფის სიმტკიცის, სულიერი და ფიზიკური ძალების საზომიცაა. თენგივ კობაიძე თუმცა დაიღუპა ამ ჭკასთან ჭიდილში, მაგრამ მან სძლია იგი და თავისი სიკვდილით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენს ხალხში არ გადაშენებულან სულით ძლიერი, რომლებიც კარგ სახელს, ადამიანის ამაყ სახელს ვერაფერს ვერაფერს ვერაფერს წინაშე ქედს არ მიიხრიან.

ესაა, ასე ვთქვათ, ტრაგედიის ობტემისტური მხარე. მაგრამ ტრაგედია მაინც ტრაგედიად რჩება და მოხუცი თვედორეს სიტყვების საბასუხოდ სცენიდან უედღური მამის გმინვა იმის:

„ — შე რადა ვქნა, ვაჟმე!“

აქ არ შეიძლება არ ითქვას გიორგი კობაიძის როლის შემსრულებელი მსახიობის ალ. ომიადის შესახებ.

ალ. ომიადემ არ დაიშურა თავისი დიდი ნიჭი, შეუდარებელი ოსტატობა, აქტიორული კულტურა და ქართული გლეხის დაუფიქარი ტიპური სახე შექმნა. გაოცებას იწვევს გარდასახვის უბადლო უნარი, შინაგანი ძალა, განცდების სიღრმე და სიმართლე, რომელსაც აჟღადანებს ალ. ომიადე ამ როლი და ტრაგიკული როლის შესრულებისას. შესანიშნავი მსახიობის ყოველ მოძრაობაში, ხანის ყოველ ნაკეთში, ყოველ სიტყვაში იგრძნობა შეუდარებელი ხელოვანი, რომელიც უდაოდ ღირსეულ ადგილს დაიკავებს ტრაგიკული როლების შემსრულებელ აქტიორთა შორის.

სამწუხაროდ, წერილის ხასიათი და მოქალაქე საშუალებას არ გააძლიავს უფრო დაწვრილებით შეჩერდეთ ალ. ომიადის თამაშზე. მაგრამ ერთი რამ კი უნდა ითქვას. რომ მისი ეს ნამუშეარი სპეციალურ გარჩიას იმსახურებს. ამავე დროს არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სპეკტაკლის წარმატებაში ალ. ომიადემ თავისი ხალხის, სულში ჩამწედილი თამაშით უდაოდ დიდი წვლილი შეიტანა.

მთხრობისგან განსხვავებით პიესაში ავტორმა შეიყვანა ახალი მოქმედი პირი ყატის სახით. ამ პერსონაჟის პიესის

მოქმედებაში შეყვანამ უფრო რელიეფური გახადა თენგი კობაიძის ხასიათი. ყაჭია თენგი კობაიძის სრული ანტიპოდა. ეს ნახევრად მოსულელი, ქარაფშუტა, გაუნათლებელი და უქნარა ახალგაზრდა, მიუხედავად იმისა, რომ შვიდამდე ძლიერ ითვლის და დამარცხებით კითხულობს, მაინც კარგად არის დაუფლებული მემწიანურ ფილოსოფიას. იგი ცხოვრებას უყურებს წამგლეჯისა და ინდივიდუალისტის პოზიციებიდან. კარგი სასახლო საქმეების, გმირობის ჩადენა მისთვის უცხია. ეს კარგად ჩანს შემდეგი დიალოგიდან:

„მ თ რ ბ ე ლ ი — პო, გამარჯობა შენი. დაცა, რა გქვია?“

ყ ა ჭ ი ა — რა მქვია და... კაცი ვარ და უნდა გახსოვდეს. სახელი რას მიქვია? ისიც გაგეოხება, სახელი სანაგვეზე გდია. საქმე სახრავია. სახრავი კი, შენც კარგა ხედავ, ზურგზე მიდია.

მ თ რ ბ ე ლ ი — სად იშოვე?

ყ ა ჭ ი ა — სახელიანის სახსენებელში... დღეს სულთაობა იყო. ამათი შესანდობარი დალიეს ყმაწვილებმა. ღვინო დაილია, საკლავი დაიკლა, სახრავი მე დამარჩა... ხარის თავს გამოეხრავ, რქებისაც ყანწუებს გამოეჩარხავ და გავეყდი, მაშა!“

ამ სიტყვებში მოცემულია ყაჭიას მთელი ხასიათი. ავტორი მწარედ და გულისტკივლით ამათრახებს საზოგადოების იმ ზორბრტებს, რომლებიც ანგარებით შეპყრობილნი მხოლოდ თავის პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ და, რაც მთავალია, ამას სრული შეგნებით სწადიან. მათთვის მიუწვდომელია თავგანწირვის მთელი სიდიადე, გმირობის ჩადენის მთელი სიღამაზე.

თენგი კობაიძისთან ბუნების მქონე ადამიანები მზად არიან ხალხისათვის, სამშობლოსათვის თავდასადებად. ყაჭიასთან კაცუნები კი საზოგადოებრივ ბრძოლას, საქმეს ყოველთვის გაურბიან. ეს კარგად ჩანს პიესის ფინალში: მთხრობელი ეკითხება ყაჭიას:

„— რამ გაგტეხა, ოში თუ იყავ?“

ყ ა ჭ ი ა კ ი უღარდელად პასუხობს: „მე არა. აი, თენგოს რომ ეცოცხლა წაივლიდა და გმირიც გახდებოდა.“

მელოპომენა — ტრაგედიის მფარველი მუზა და ტალია — კომედიის მფარველი მუზა საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთს ვერ ურიგდებოდნენ. არისტოტელესა და შემდეგ კლასიციტების პოეტიკის თანახმად, ტრაგედიაში არ იყო მიზანშეწონილი კომიკური ელემენტების შეტანა და პირიქით. მაგრამ გიორგი შატერაშვილის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან თავის პიესაში ბრწყინვალედ შეარჩია ეს ორი ქალღმერთი და ყაჭიას კომიკურმა სახემ ხაზი გაუსვა თენგი კობაიძისა და მისი მამის გიორგის ტრაგედიას. ის ზომიერი სევდა-ნარევი იუმორი, რომელიც ალაგ-ალავ დაუნდობელ სატირაში გადადის, პიესის ტრაგიკულ მხარეს კი არ ასუსტებს, არამედ უფრო აძლიერებს. ტრაგედიაში კომიკური როლის თამაში გარკვეულ სიმნიშვნელობას დაკავშირებული, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობმა გ. ბერიკაშვილმა ღირსეულად დასძლია ეს სიმნიშვნელობა. მის თამაშში იგრძნობა დახვეწილი ოსტატობა, გარდასახვის შეუდარებელი უნარი, ცხოვრების ცოდნა და კომიკური როლების შესრულების უდაო ნიჭი. იგი, ჩვენი აზ-



ყაჭია — გ. ბერიკაშვილი

რით, ღირსეულად აგრძელებს გამოჩენილ ქართველ კომიკურ მსახიობთა ტრადიციებს. ყაჭიას სახის შექმნა ახალგაზრდა მსახიობის გ. ბერიკაშვილის დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა.

როგორც აღენიშნეთ, მიუხედავად დიდი ტრაგიზმისა, პიესა „მეგდობის მუზე“ დამთრგუნველად კი არ მოქმედებს მაყურებელზე, წუხილსა და სევდას კი არ იწვევს, პირიქით, კმაყოფილებას, სიამოვნებას და რაც მთავარია, სიცოცხლის ხალხის აღძრავს. ეს გრძნობები გამოწვეულია არა მარტო ესთეტიკური ტემპით, არამედ იმ ოპტიმიზმით, რომელიც



თენგი — გ. ციციშვილი, ნინო — მ. მახვილაძე

თვით ნაწარმოებშია ჩაქსოვილი. მართალია, დაიღუპა თენგი კობაიძე, შვილის საფლავთან სული დალია მოხუცმა გიორგიმაც, მაგრამ სიცოცხლე და ბრძოლა, სინდრელებთან ამოთ გუბა, სინდრელების ძღვეთ მიტოვებული სისარული ამით არ დამთავრებულა. სიცოცხლე გრძელდება. მაყურებელი ხედავს შუბათში ჩამოსულ ნინოს ბიჭს თენესს. ბიჭს, რომელსაც მამამისი ძარღვიანი მკლავი აქვს და მამის შუპოვარია, ამაყ გული უარს. სპექტაკლის ფინალი აღსასვავ იმის ღრმა რწმენით, რომ კიდევაც გაიზრდებიან ისეთები, როგორიც იყო ხინამზარელი, როგორც იყო თენგი კობაიძე, რომლებიც ყოველგვარ სინდრეებს დასლევენ, ყოველგვარ წინააღმდეგობას გადალახავენ და ღირსეულად ატარებენ ქუმშიარტიკ ადამიანის სახელს.

თეატრის დასმა და დრამატურგმა შექმნეს ცხოვრებისეული, მხატვრულად მართალი ტიპების მთელი გალერეა.

ქართული გლეხი გიორგი კობაიძე, დიდი ტრაგიკული ნიჭით დაჯილდოებული მსახიობის ალ. თმაიძის შესრულებით რადიკით ვეგორენხს თითარაით ქრისს. როგორც თითარაით ქერიგია ქართველი გლეხი-ქალის ტიპიური სახე, ისევე გიორგი კობაიძე — ტიპიური ქართველი გლეხკაცის განსახიერებაა. ეს რაიმე მიზაძევა, უბიგროვებს კი არ ნინვას, არამედ ჩვენი დიდი კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებასა და განვითარებას მოასწავებს.

შავდათუა, თუმცა თავის მეგობარ გიორგი კობაიძეს ნაკლებად ტიპიურია, მაგრამ ერთგვარ სასიასი პანქე წარმოადგენს. იგი უფრო კონკრეტულ-კერძობითია, ვიდრე ზოგადი. მსახიობად ა. ოქროსკვიციანი ემშაბა და სოფლის ავანჩაევის რომ ეძახიან, ისეთი გლეხის სახე შექმნა.

კარგია თამარ თეთრაძე ხახატოს როლში. იგი დაბეჭავებული გლეხი ქალის დასამახსოვრებელ, მხატვრულად დახვეწილ სახეს ქმნის.

თბილისი და გულწრფელია თენგი კობაიძის როლში მსახიობი გ. ციციშვილი. მან თავდაჭერილი თამაშით შესძლო მშობლისადმი დამოკიდებულების გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად არ ვლინდება მამისადმი სიყვარული, მან შესძლო შინაგანი, ღრმა კონტაქტის გადმოცემა, რომელიც მამასა და შვილის შორის არსებობს. იგივეს ვერ ვიტყვით სენნაში, სადაც ნინოსადმი სიყვარულის გამოვლენასა გადმოსაცემი. აქ აქტიურის მეტი უშუალოა და ბუნებრიობა მართებს.

ნატო ვაჩნაძის შესახებ ბიბლიოგრაფიული მასალები დღემდე არ იყო ისტემატოზირებული. ამიტომაც, ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ ეს საკითხი, თავი მოუყუარეთ ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ ბიბლიოგრაფიულ მასალებს, რომელთა მცირე ნაწილი აქ ქვეყნდება.

1923 წელს თბილისის კინოსტუდია იღებდა ახალ სურა-



ნატო ვარნახის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სელამოზე მარჯანიშვილის სახ. თეატრში.

ჟურნალ „სოვეტსკი გერანის“ სიტყვებით რომ ვთქვათ ამ ფილმებში ნატო ვარნახემ „პირველსარისხოვანი“ კინოსახიობის გამოცდა ჩააბარა. მიუხედავად იმ დიდი წარმატებებისა, რომელიც აქამდე წილად ხვდა ნატოს, მის პირველ შემოქმედებით გამარჯვებად ითვლება ესმას როლი „სამ სიცოცხლეში“, რომელიც 1925 წელს გამოვიდა. ფილმი გადაიღო რეჟისორმა ივ. პერესტიანმა გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მიხედვით, ოპერატორია ა. დიდმელოვი.

„შე გამიტაცა ესმას გასაოცარმა თავგადასავალმა, მისმა ამბულეგებელმა ისტორიამ“ — იგონებს ნატო ვარნახე. აი რა ცითუსულობით 1924 წლის ჟურნალ „ჩირადნის“ 22-ე ნომერში: „ნატა ვარნახის (ესმა) რუსეთში ქართველ ვერა ხო-

ლოდნაის უწოდებენ. ჩვენს კინოს შეუძლია მარტო ამ მსახიობის აღმოჩენით იამაყოს. რამდენ გრძნობას და გულწრფელობას აქსოვს იგი „პატარა მკერავი ქალის“ როლში. მისი ესმა მიმზიდველი და მომხიბვლელია, როგორც ახლად გაშლილი ყვავილი. დამატრობელია მისი ღიმილი. მსახიობი თავიდანვე იპყრობს მაყურებლის გრძნობას და თავისი ბედნიერების ყველა ხვეულში ატარებს მათ. სწუხარ და ნანობ მხოლოდ იმას, რომ ასე უდროოდ გათავდა პატარა ქალის პატარა ბედნიერება“ (ხელისმოწერა შ. შ.)

გაზეთში „საქართველოს კინო“, რომელიც 1924 წლის 13 დეკემბერს გამოვიდა, ვასილ ივანატოვი წერს: „ნატა ვარნახის შემოქმედების ორიგინალობა და თავისებურება მდგომარეობს



ნატო ვანჩაძის საიუბილეო საღამოზე სიტყვის ამბოხის საქ. სახალხო არტისტი სპარტაკ ბალაშვილი

იმამი, რომ მას, როგორც არავის, ეხერხება უღრმესისა და უმახვილესი შინაგანი განცდის გამოსახვა მინიმალური გარეგნული საშუალებებით. საქართველოს კინომრეწველობამ მოგვცა ნატა ვანჩაძის სახით შესანიშნავი კინო-არტისტული ძალა და თუ ეს ფრიად ნიჭიერი მსახიობი ქალი არ მიიძინებს თავის ნიჭს უკვე მიღწეულ დაფინს გვირგვინებზე და შეუწყვეტლად იმუშავებს ახალი შესაძლებლობის მისაღწევად, უთუოდ იტყვის მომავალში გაღრმავებულ-რეალისტური კინომოქმედების ახალ სიტყვას“.

„სამი სიცოცხლე“ პირველი ქართული რეალისტური ფილმი, რომელმაც სახელი გაუთქვა ქართულ კინემატოგრაფიას. ამის ნათელი დადასტურებაა ან. ვ. ლუნაჩარსკის წერილი ამ ფილმის შესახებ, რომელიც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა (№ 10, 1962).

ივ. პერესტიანის შემდეგი ფილმი „ტარიელ მკლავაძის საქმე“, ევ. ნინოშვილის რომანის „ჩვენი ქვეყნის რანდის“ მიხედვით, თითქმის ერთდროულად გამოვიდა „სამ სიცოცხლესთან“ ერთად, 1925 წელს.

ჟურნალი „ხელოვნება“, 1925 წლის მე-8 ნომერში აქვეყნებს გ. ცაგარელის რეცენზიას: „სპირიდონ მცირიშვილის ცოლის როლში ჩვეულებრივი თავდაჭერით და ზომიერებით თამაშობს ნატა ვანჩაძე. აქ აქტრისას ინდივიდუალობას ემჩნევა განვითარება და გაღრმავება. ნატა ვანჩაძე თანდათანობით იზრდება, როგორც კინოაქტრისა. ეს თავდებია იმისა, რომ ტექნიკის მხრივ ნატა ვანჩაძე ასლო მომავალში დადგება იმ სიმაღლეზე, რომელიც შეფუფრება მის მეტად ფოტოგენიურ სახეს და მოხდენილ გარეგნობას“.

ამ ფილმებმა კიდევ უფრო მეტად გაზარდეს ნატო ვანჩაძის პოპულარობა. ამაზე მეტყველებს რესპუბლიკის გარეთ გამოსულ გაცემებსა და ჟურნალებში დაბეჭდილი რეკლამები.

პირველმა წარმატებებმა ახალგაზრდა მსახიობს თავბრუ როლი დახვავა, პირიქით ეს გარემოება მას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა. „მინდოდა მესწავლა, რომ მანდილი მსახიობი გაემხმარებოდა, — იგონებს ნატო ვანჩაძე — მაგრამ არ ვიცოდი ამისთვის როგორ მიმეღწია, არ მჭონდა ამ მუშაობის

მეთოდი. ამ დროს რეჟისორმა წუწუნავემ დაიწყო მუშაობა სურათ „ვინ არის დამნაშავეზე“ ნინო ნაკაშიძის პიესის მიხედვით. მე წინადადება მომცეს მეთამაშა ფაქტის როლი“.

ფაქტა ნატა ვანჩაძის ახალი გამარჯვება იყო. აი რას წერს ამის შესახებ ჟურნალი „სანახაობა“ (1926 წელი, № 8. ხელის მოწერა გ. ც.) — „ფაქტი განსახიერებელია ნატა ვანჩაძის მიერ მრავალნაირად. ჯერ მორცხვ სოფლის გოგო, დედა-ოჯახის იდილიურ პირობებში, შემდეგ აუცილებელ გარემოებათა მსხვერპლი და ბოლოს ტრადიციული სახე. მომავალი ებელი, რომელიც სრულიად იპყრობს მაყურებელს. აქ ნატა ვანჩაძე აღწევს შემოქმედების მწვერვალს სრულიად მოულოდნელს ამ მსახიობის დიამაზონისათვის, ეს უნდა ჩაითვალოს რეჟისორის საფიქრებულ და ღრმა მუშაობის შედეგად“. ფილმმა „ვინ არის დამნაშავე“, რომელიც საბჭოთა ეკრანებზე ცნობილია სათაურით „უილი-დ-ვესტის მხედარი“ დამსახურებული პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში.

1926 წელს გამოვიდა რეჟისორ ბექ-ნაზაროვის ფილმი „ნათელა“, — ოპერატორი ს. ზაბოზლავეი. ნათელას როლის განსახიერება ნატო ვანჩაძე მიიღებს. როგორც კრიტიკოსი კარლო გოგოძე წერს „ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში იგი პირველი ფილმი, რომელიც რეაქციული წყობილების წინააღმდეგ მიმართულ გლეხთა მოძრაობას გვესურათებს. ან სრულიად ახალი იდეური გაქანების სურათში ნ. ვანჩაძეს მისი შემოქმედებისათვის აქამდე უცხო გმირის განსახიერება მოუხდა, ნათელა ყველაზე რთული და მრავალფეროვანი სახე ფილმში. მსახიობმა ძირითადად სწორად წარმართა ეს თავისებური ხასიათი. ნატა ვანჩაძის ახალ სულ სხვა ხასიათის როლში გამოსვლას სასოვადობა აღტაცებით შეხვდა“. (გოგოძე, კ. „ნატა ვანჩაძე“ (მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია) 1949 წ. გვ. 20).

შემდეგი ფილმი, რომელშიც ნ. ვანჩაძე მიიღო მონაწილეობა არის „გიული“ (რეჟისორი — ნ. შენგელაია და პუშინ-ოპერატორი — კალატაიშვილი. 1927 წ.) როგორც თვითონ ნატო ვანჩაძე იგონებს, მას არ ურჩევდნენ მონაწილეობა მიეღო ამ ახალბედა რეჟისორის ფილმში. მას კოტე მარჯანი

შვილისთვის უთხოვია რჩევა, კოტეს დასტური მიუცია და ისიც მიიღოს ვატაკცემით შეუდგა ახალ როლზე მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ ამ ფილმის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. ზოგნი უარყოფითად აფასებდნენ როგორც რეჟისორების მუშაობას, ასევე აქტიურულ შესრულებასაც. ზოგი კი ეკულის როლს ნატო ვანნაძის მეშვედ წარმატებად სთვლის.

1928 წელს ნატო ვანნაძე კოტე განჯანიშვილის ორ ფილმში იღებს მონაწილეობას: სურთ „ამოკვში“ ევროპული კომერსანტის ახალგაზრდა ცოლის როლს ასრულებს, ხოლო „ქაჯანაში“ — ჯემას როლს.

1925—1930 წლებში გავრცელებული იყო ეგრეთწოდებული უმსახიობო, ტიპაჟური ფილმები. იღებდნენ არაპროფესიონალებს. ამან მსახიობები იქმნედი მიიყვანა, რომ სამუშაოს მოვდა უნდვლდებოდათ.

ამ დროს მოსკოვში ნატო ვანნაძე შემთხვევით შეხვდა რეჟისორ მიხეილ გოზინცევს, რომელსაც უამბო თავისი მდელგარების შესახებ, მან ურჩია ნატოს, მიემართა ცნობილ კინორეჟისორ ესთერ შუბისათვის, რომელიც ამ დროს იწყებდა დოკუმენტური ფილმის „კომკავშირი—ელექტროფიკაციის შეფის“ გადაღებას. ე. შუბამ ნატო მიიღო ასისტენტ-პრაქტიკანტად.

1932 წლის გაზაფხულზე ნატო ვანნაძე ახალი შემოქმედებით ხალისით დაბრუნდა საქართველოში. ამავე წელს შესაფავს ხევისურ ქალის ციციას როლი ფილმში „უკანასკნელი ჯავარსნიჭი“ (რეჟისორი სიკო დლიძე).

ნ. ვანნაძემ მშვენივრად გადმოსცა განახლებული ცხოვრების ფერხულში ჩაბმული ხევისურ ქალის ფსიქოლოგია, მისი ბუნება. ციცია მეტად მიზიდულია სახვა სურათში: (გოგობ, კ. — „ნატო ვანნაძე“. 1949, თბ., „ხელოვნება“)

გაზთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1935 წლის 28 ივლისის ნომერში აქვეყნებს ა. ადამიას რეცენზიას ამ ფილმის შესახებ: „რესპუბლიკის დამსახურებელი არტისტის ნატო ვანნაძის მიერ განსახიერებული ახალგაზრდა ხევისური ქალი ციცია, სრულიად განსხვავდება წინათ მის მიერვე დიდი ოსტატობით გათამაშებულ როლებსაგან. ქართულ კინოში ნატო ვანნაძეს თითქმის ბედად დაჰყვა ყოფილიყო მუდამ ტანჯვაში, მოტაცების მსხვერპლი, ყოფილიყო მუდამ ცრემლიანი — ამ სურათში კი ის გვევლინება, როგორც ცქრილა გოგონა, მოუსვენარი და გამაზედავი. ციციას როლი კარგადაა დარმატურებისა და რეჟისორის მიერ მოხაზული და ამ როლს მიმზიდველად ასრულებს ნატო ვანნაძე“.

1934 წლიდან ნატო ვანნაძის შემოქმედებით ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა. ხმოვანმა კინომ სახის სრულყოფილ განსახიერების დიდი შესაძლებლობები მოიტანა. ამ ახალმა მოვლენამ ბევრი გამოჩენილი კინოვარსკვლავი ჩაქრო შსოფლით ევრანებზე. ნატო ვანნაძემ კი ხმოვან ფილმებშიც ისეთივე უმჯობა და მშვენიერებით გამოჩინა, როგორც მუნჯ სურათებში. ამის შესახებ რეჟისორი კ. პიპინაშვილი გახუტ კომუნიკაციის: „1949 წლის 10 აპრილს ნოვარკში წერს: „ჩემოვან კინემატოგრაფიაში ნატო პირველად მოგვევლინა ფილმში „უკანასკნელი მსაკარადი“ (რეჟ. ჭიაურელი, ოპერატორი — პოლიკვეინი. 1934 წ.)“ ცნობილმა კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა თამარის როლს უდალოვად გადაწყვეტით მუნ-

ჯი ევანის მსახიობს თითქმის დიდი სიფრთხილი შეუღო კარი ხმოვან კინოში. შემდეგ კი ნატო გამართული დიალოგთა ალაპარაკებული ისე იმ ადგილს იკაებებს ხმოვან კინოში, რაც მას მუნჯ კინოში ეჭირა“.

კ. ბუაჩიძის წერილში „ნატო ვანნაძე“ — ვკითხულობთ: მან „გაბანათა“, „უკანასკნელ მსაკარადში“ სრულიად უსიტყვო როლიმ, მაგრამ თავისი მდიდარი პლასტიკით ჩინებული სახე შექმნა“. (ქურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1949, № 5, გვ. 97).

1937 წელს გამოვიდა მ. ჭიაურელის ცნობილი ფილმი — „არსენა“ (ოპერატორი ა დიდიმლოვი). ნატო ვანნაძემ დიდი გზა გაიარა ბარსკის „არსენა ყანადიდან“ — მ. ჭიაურელის „არსენამდე“. „ნენოს როლი ფილმ „არსენაში“ „ეს იყო წარსულთან შეხვედრა, ნანსობი სახე, რომლითაც ნატომ ფეხი შემოგდა კინოში და, თითქმის, რაც ამ სახეს პირველად გამოუდღებლობით დააკლდა, ამჯერად ყოველივე შეავსო“, — ვკითხულობთ ოთ. სეფიაშვილის წიგნში („ნატო ვანნაძე“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 17).

ნატო ვანნაძის მიერ განსახიერებული ქართველი ქალები მუდამ თვალცრემლიანი, ტანჯულნი და უბედურნი არიან. „ჩემი ნატერაა, — ამბობდა ნატო, — შევასრული მზიარული, აქტიური ქართველი ქალის როლი“. ასეთი ქალები დასატა მან ფილმებში „ნარინჯის ველი“, „სამშობლო“, „ქალი ხი-დობნიდან“.

ბესარიონ ქვინტი 1953 წლის 24 ივნისს „სახალხო განათლებამი“ წერდა: „ქართული კინოხელოვნების ისეთმა შენაღნიშნავმა სურათებმა, როგორიცაა „ნარინჯის ველი“ და სხვა, დიდი წარმატება მოიპოვეს უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ მათში მთავარ როლებს ნატო ვანნაძე ასრულებდა.“

კინოფილმში „ნარინჯის ველი“ ნატო ვანნაძემ ისეთივე შთაბრძნული ძალით გამოხატა საბჭოთა ადამიანის შწიური ცხოვრება და შემოქმედებითი შრომის სისარული, როგორც ძალითაც იგი მიუღ რიგ სურათებში განსახიერებდა წარსულში ხალხის მძიმე და გაუხარელ ცხოვრებას“.

ნანის როლმა ნატო ვანნაძეს დიდი გამაზრვევა მოუპოვა — მან დაიმსახურა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.

ნატო ვანნაძის შემდეგი წარმატება იყო დედის როლი კინოფილმ „ქაჯანაში“ (რეჟისორი კ. პიპინაშვილი, ოპერატორი ვ. ვისოცი, 1940 წ.). დადგმული რეჟისორი პიპინაშვილი წერდა: „ქაჯანაში“ ნატოს პირველად ვხვდეთ ბავშვთან, როგორც დედას. და თუ ძნელია თქმა, ბავშვმა ქაჯანამ დაამშვენა ნატო თუ მსახიობმა ნატომ ფილმი „ქაჯანა“ — ეს ისევე თავისი როლისადმი გამოცდილი მსახიობის დიდი განწყობით, თბილი და მგრძობიარე დედის სახის განსახიერებით აიხსნება („კომუნისტი“, 1949, 10 აპრილი).

1943 წელს ნატო ვანნაძე მონაწილეობს საბჭოთა ზურგის თავდადებულთა მუშაობის ამსახველ ფილმში „ის კვლავ დაბრუნდება“ (რეჟ. ნ. შენგელაია, დ. ანათაძე, ოპერატორი კუხნეცოვი). ამ ფილმში ნატო ვანნაძე კომკავშირული ქალიშვილის მანანას როლს ასრულებს.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ნატო ვანნაძემ



საქართველოს
წიგნების კავშირი

ნატო ვარნაძის მემორიალური
ბის 60 წლისთავისადმი
მიძღვნილ საიუბილეო
სალამოზე რუსთაველის
სახ. საკონცერტო დარ-
ბანში



შექმნა ქართველი დღის სახეები ფილმებში: „აკაკის აკვანი“ (რეჟ. პიპინაშვილი, ოპერატორი ფ. ვისოცკი. 1947) და „მწვერვალთა დამპყრობნი“ (რეჟ. რონდელი, ოპერატორი კოლატი, 1952).

„როლის მაღალი იდეური გააზრებით შეიძლება აიხსნას ის, რომ ნატა ყველა ქართველი მსახიობისათვის მეტად საპატიო როლის — დიდი მგოსნის აკაკის ძიძის როლის შესრულებაზე მანამდე ვერ დავითანხმეთ ფილმის ავტორებმა, სანამ ამ როლს არ შეემატა დიდი გააზრების ეპიზოდი. „აკაკის აკვანის“ პირველ ვარიანტში მსცოვან იუბილართან აკვანი მიჰქონდა ნაზიბროლას, ხოლო ფილმში, როგორც ცნობილია, აკვანი იუბილართან მიაქვს მგოსნის ძიძას... ახლა სცენის სხვაგვარად წარმოდგენა თითქმის შეუძლებელი ხდება, იმდენად ორგანული აღმოჩნდა ნ. ვარნაძის შენიშვნა მგოსნის ძიძის როლის სრულყოფისათვის — ვერდა ფილმის დამდგმელი რეჟისორი კ. პიპინაშვილი („კომუნისტი“ 1949, 10 აპრ.).

ზემოთ აღნიშნული ფილმების გარდა გვინდა აღვნიშნოთ

კიდევ ორი ფილმი, რომელშიც ნატო ვარნაძე მონაწილეობდა. ესენია: „Ценою тысяч“ (ანუ „Расплата“, „Час настал“) სჟ. კინმრეწვის ნაწარმოები, 1925 წელი. რეჟ. ვ. ბარსკი, ოპერატორები ს. ზაბოზლავეი და პოლიკევიჩი. მეორე ფილმი „Железная бригада“ (ეს ფილმი არ არის შემონახული) 1931 წელი. ვოსტოკკინო (იალტა) რეჟ. მ. ვერტერი, ოპერატორი გ. ვენცი. ამ ფილმების შესახებ ჩვენს მიერ მიკვლეული რეცენზიები ნატო ვარნაძის შემოქმედებით ბიოგრაფიას ახალს არაფერს მატებს, ამიტომ აქ მათზე აღარ შევჩერდებით.

ნატო ვარნაძის მიერ შექმნილი ქართველი ქალების სახეები მარად იცოცხლებს საბჭოთა მაყურებლის ხსოვნაში.

უბედურმა შემთხვევამ მოულოდნელად გამოსტაცა იგი თავის მეგობრებს, საყვარელ საქმეს, მშობლიურ ხალხს. დაუჭკინებელი სილამაზით და შემოქმედებითი ცეცხლით აღსავსე იგი თვალს მიეფარა და გაქრა. მისი სხივანათელი შემოქმედება და ცხოვრება ლამაზ ლეგენდად გადაეცემა თაობიდან თაობას.

ცეკვის მოძრაობებისა და ქართული ცეკვის ელემენტების შერწყმით საფუძველს უყრის ქართული ხალხური ქორეოგრაფიის თეატრალიზაციის საკუთარ სისტემას. გამომსახველობისა და ემოციურობის ელემენტებმა, რომელიც ჯაფარიშვილმა დაურთო გიმნასტურ სიმწიფობებსა და ლაკონიზმს, სასურველი შედეგი გამოიღო. 1931 წელს ხარკოვის საოპერო თეატრში ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ ცეკვების პირველმა დადგმამ ქორეოგრაფს იმთავითვე დიდი წარმატება მოუტანა.

საცეკვაო ფოლკლორის ბრწყინვალე ცოდნა, მაღალი გემოვნება, მხატვრულად დასრულებულ ფორმაში ცეკვის გამოქვეყნების უნარი ჯაფარიშვილ-ქორეოგრაფს თან სდევდა მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ხოლო ენციკლოპედიურმა ერუდირებამ მას საშუალება მისცა ქართული ეროვნული კოლორიტის განუმეორებელი არმატი შეენარჩუნებინა თეატრალიზებული ქორეოგრაფიისათვის. მისი ისეთი დადგმები, როგორიცაა „ქართული“ და „მხედრული“, „აბესალომ და ეთერიდან“, „ფრხული“ და სახუმარო „კვარტეტი“, „ქართული“ „დაისიდან“, ქალთა „დავლური“, „მხედრული“, „ყაზახების“ ელემენტებით მ. ბაღანიჭაძის „დარეჯან ციხერიდან“, „დავლური-მითულური“ აკ. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღიდან“, სამართლიანად შეიძლება მივაკუთვნოთ თეატრალიზებულ ქართული ხალხური ცეკვის კლასიკურ ნიმუშებს. საჭიროა თეატრის მხატვრულ ფასეულობათა მატიაწევი მოხდეს ამ ცეკვების ფიქსირება, როგორც ქართული საცეკვაო შემოქმედების შესანიშნავი ქმნილებებისა. განა ასე არ ყურება საძირკველი ტრადიციის — ხელოვნების განვითარების შემდგომი გზების საფუძვლის, რომელიც ნოვატორული ძიებების, მიგნებებისა და მისწრაფებების უწყვეტ ჯაჭვს წარმოადგენს.

დ. ჯაფარიშვილი ბალეტმასისტერ ვასილ ლიკინენკოსა და რეჟისორ ალიქსანდრე თაყაიშვილთან ერთად საბჭოთა თემატიკაზე შექმნილი პირველი ქართული ბალეტის — შალვა თაქთაქიშვილის „მალთაყას“ დამდგმელია. (1938 წ.) იმხანად, ეროვნული ბალეტის შექმნის პერიოდში, გაბედული ნაბიჯი იყო თანამედროვეობის პრობლემის გადაჭრა ხალხური ქორეოგრაფიის ენით. და თუ მთელი რიგი მხატვრული ნაკლოვანებების, არასათანადო დამუშავების შედეგად „მალთაყა“ დაუმსახურებლად მიეცა დაიწყებას, მისი ხანმოკლე სიყვარული ბიოგრაფია, როგორც ქართული ბალეტის საექსპონატი ნაწარმოებისა, მაინც აღსანიშნავია. მკვეთრ კალიდოსკოპად გაიკაფა ბალეტის უკანასკნელ აქტში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ცეკვებმა და განსაკუთრებით მასობრივმა „მითულურმა ცეკვამ“, „აფხაზურმა“, წყილთა ლირიკულმა ცეკვამ „ქართულმა“. მათი შოამბეჭდავობის ძლიერებაში დიდი დამსახურება მიუძღვის დავით ჯაფარიშვილს.

მუდმივი წარმატება ჰქონდა დავით ჯაფარიშვილის მიერ დადგმულ ქართულ ცეკვებს საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც — ნ. რუბინშტეინის „დემონში“ (ხარკოვი, 1937 წ.) „დაისში“ (ოლესი, 1941 წ.) უდიდესი წარმატება ხვდა ცეკვებს „აბესალომ და ეთერიდან“ (1939 წ. განახლებული დადგმა 1945 წ.), რომელიც სსრკ დიდმა თეატრმა მიიღო დასადგმელად მოსკოვში პირველი ქართული ხელოვნების დეკადის ბრწყინვალე ჩატარების შემდეგ. გახეთი „საბჭოთა ხელოვნება“ ქართული ოპერის დადგმის დიდი თეატრის სცენაზე აღ-

დავით ჯაფარიშვილი

ლილი გვარამაძე



ავით ჯაფარიშვილი ქართული კულტურის მოღვაწეთა იმ თობას ეკუთვნის, რომელთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრის თქმა შეიძლება. გიორგი და თამარ ნიკოლაძეებთან, გ. ეგნატაშვილთან და გ. მერკვილაძესთან ერთად ჯაფარიშვილი არის საქართველოში ფიზიკულ-ტურული მოძრაობის ერთ-ერთი თაოსანი და ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი და ენერჯია ჩააყენა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის სამსახურში.

1928 წელს ბათუმში დ. ჯაფარიშვილი აყალიბებს საბალეტო სტუდიას და ფიზიკულ-ტურული საფარიზოების, კლასიკური

ნიშნავდა როგორც საბჭოთა ხელოვნების ზეიმს, განსაკუთრებით გამოყოფდა დ. ჯავრიშვილის მიერ დიდი გემოვნებით, ზედმეტი იაფფასიანი „ვეზოტიკის“ გარეშე შესრულებულ ცეკვებს. საბჭოთა მუსიკალური კულტურის გამოჩენილი მოღვაწე ა. მელიქი-ფაშავეცი ერთ-ერთ მოსკოვურ გაზეთში წერდა: „სამი ცეკვა ოპერის მეორე აქტის საერთო მსჯელობის შესაბამისად ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული... და ეს ცეკვები აგებულია ქუმარიტად ფოლკლორულ მასალაზე, მხატვრულად თეატრალიზებულ კომპოზიციასზე... მხატვრულად თეატრალიზებული ხალხური ცეკვა — დაეთო ჯავრიშვილის შემოქმედების წარუშლელი ნიშანია.“

საბჭოთა საბალეტო თეატრის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი ანატოლი კუნეცივი ასე წერდა, „საბჭოთა არტისტში“ დავით ჯავრიშვილზე: „...не скроем, что он в корне разбил наше представление о грузинских танцах, как о некоей „яростной джигитовке“ чуть ли не с традиционным кинжалом в зубах. Нам пришлось перечувывать манеру исполнения, безжалостно отбрасывая все наносное, казавшееся нам тогда очень эффективным. Но мы охотно пошли на это и с увлечением стали учиться вновь. И не случайно наша труппа, избалованная именами балетмейстеров, ставивших спектакли в Большом театре, очень оценила Давида Лаврентьевича Джавришвили. С тех пор творческая дружба, возникшая между Д. Джавришвили и артистами нашего театра, не прекращается.“

ტრეოფილოვი იყო დ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით 1935 წელს ლონდონში, საერთაშორისო ცეკვის ფესტივალზე, ქართულ მოცეკვავეთა კავშირს გამოსცხვია. ინგლისური პრესა აღფრთოვანებული გამოეხმაურა მეომართა უძველესი ცეკვის „ხორუმის“ შესრულებას, აღნიშნა რა მისი ეთნოგრაფიული თავისებურება შერწყმული სკულპტურულ გამოხსახველობასა და მოძრაობის ექსპრესიასთან. ეს იყო არა მარტო ქართველ მოცეკვავეთა წარმატება, არამედ წარმატება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნებისა. სწორედ დავით ჯავრიშვილმა წარმოადგინა ქართული ქორეოგრაფია, თავისუფალი ქმედებებისაგან და ხალხურობისათვის დამახასიათებელი სიწმინდის შენარჩუნებით.

წლებების მანძილზე ატარებდა დ. ჯავრიშვილი ჩვენი ქვეყნის უძველეს ქორეოგრაფიულ სასწავლებლებში მთელ რიგ სემინარებსა და კონსულტაციებს ქართული ცეკვის სფეროში, რომლებიც ხასიათდებოდა მაღალი მეცნიერულ-მეთოდური და პედაგოგიური ხარისხით. საბჭოთა კავშირის დიდი თეატრთან არსებული ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექციის წერილში, მაღლობის გრძობით არის აღნიშნული დ. ჯავრიშვილის მიმართ შემდეგი: „ეს ღონისძიება არის ძვირფასი წყლილი, შეტანილი ჩვენი კავშირის ქორეოგრაფიული განათლების განვითარების საქმეში“. მაღლობის გრძობით მიმართავენ დავით ჯავრიშვილს ლინინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის ხელმძღვანელები: ვ. შულკოვი, ე. ივანოვი, მ. ფრანკოპოლი. ქართული საცეკვაო ფოლკლორის ღრმა ცოდნა, დი-

დი ერუდიცია ამ სფეროში და საერთო მაღალი კულტურა იყო დ. ჯავრიშვილის შემოქმედების აღიარების საწინდარი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ქორეოგრაფი-სპეცილისტების მიერ.

შესანიშნავი ორგანიზატორი (თითქმის 20 წელი დ. ჯავრიშვილი ხელმძღვანელობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან მის მიერ დაარსებულ საბალეტო სტუდიას), მხატვრული თეთიმოქმედების თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებელი, დ. ჯავრიშვილი არის აგრეთვე მთელი რიგი წიგნების ავტორი — „ცეკვა ქართული“ (1951), „ცეკვა მთიულური“ (1953 წ.), „ქართული ხალხური ცეკვები“ (რუსულ ენაზე, 1957 წ.), „ცეკვა ხორუმი“ (1957 წ.), ბროშურების, სტატიების, სასწავლო-მეთოდური პლაკატებისა.

მისი ერთ-ერთი ბოლო პერიოდის ნაშრომი „ქართული ქორეოგრაფიის ჩაწერის პირობითი ნიშნები“ (1961 წ.) თვით ავტორი წიგნის შესახებ წერს შემდეგ: „ჩემი სისტემის საშუალებით შეიძლება გრაფიკულად წარმოისახოს მხოლოდ ქართული ხალხური ცეკვები, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ძიებებსა და სხვა ბალეტებისგან დახმარების გზით მისი გამოყენება შესაძლებელი გახდეს სხვა ხალხების ქორეოგრაფიული ხელოვნების საცეკვაო მოძრაობებისა და ასევე კლასიკური ცეკვის „ენის“ მიმართაც. მხოლოდ მაშინ შეიძლება მას ეწოდოს უნივერსალური“...

საბჭოთა შემოქმედების საკავშირო სახლის მიერ მიღებულია ამ სისტემამ დიდი გამოხმარება ჰპოვა. პრესაში აღნიშნული იქნა, რომ ყოველდღიურ პრაქტიკაში ამ სისტემის გამოყენება მოსახერხებელია, ხასიათდება უბრალოებით. ურულა „სოფელსკი სიოუზში“ (1959 წ. № 12) ნათქვამია, რომ ცეკვის გრაფიკული ასახვის ეს სისტემა ადვილად იყოიხება, ადვილად ხდება მისი ფიქსირება და შეგნეცეკვა მუსიკის ჩაწერასაც. ერთ-ერთ ჩემურ ურულაში ასევე აღინიშნება ცეკვის ჩაწერის ამ სისტემის დიდი ღირსებითი. მე, როგორც წიგნის რედაქტორს, მინდა ვთქვა, რომ დავით ჯავრიშვილმა შესწლო ქართული ცეკვის სპეციალური ნიშნებისა და თავისებურების შენარჩუნებით ჩაწერის ლაკონური „ენის“ შექმნა. მაგრამ, ჩემის აზრით, ამ წიგნში არსებითია არა მარტო მუსიკალური ტაქტებისა და პირობითი საცეკვაო ნიშნების, „სინქრონიზაცია“, ამ სისტემის ადგილობრივსაწავლობა, რაც ყველა ახლგის საშუალება ნებისმიერი ქორეოგრაფიული კომპოზიციისა, „წაიკითხის ფურცლიდან“, არამედ ვფიქრობ, რომ ამ ნაშრომში მთელი გამოკეთილობით აისახა დავით ჯავრიშვილის — ქორეოგრაფის, პედაგოგისა და მეცნიერის შემოქმედებითი პრინციპები.

დავით ჯავრიშვილზე ხშირად წერენ. უმრავლესობის ყურადღებას იპყრობს ამ გამოჩენილი მოღვაწის შემოქმედებით აღსასეს დღეები. ერთ-ერთი სტატია დასაბუარებისათვის ასე — „Жизнь прожить — не поле перейти“. ეს მართალია, მაგრამ თვით დავით ჯავრიშვილი თავისი ხასიათით, მიზანსწრაფებით, თითქმის აცოცხლებს იან რაინდის პოეტურ სტროქონებს — „Жизнь надо перерасти, стать над своим суемудием...“ ეს სიტყვები შეიძლება მისი ცხოვრების ეპიგრაფად გამოიყენოს. იგი ყველა ჩვენგანისათვის სიყვარულის, მოწიწებისა და უმწიერო პატივისცემის მაგალითია.



ლევან ტრუსკოვსკი

ქართული მუსიკალური კულტურის ამაგდარი

ნიკოლოზ დადიანი



ბილისის სახაზინო თეატრის სცენაზე 1904 წელს გამოვიდა ახალგაზრდა პოლონელი პიანისტი ლუციან ტრუსკოვსკი.

სტუმარმა შესარულა ლისტის უნგრული რაფსოდია სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. კონცერტს ესწრებოდა დიდძალი საზოგადოება, რომელიც აღტაცებული შეხვდა ლ. ტრუსკოვსკის გამოცემას და მაღალი შეფასება მისცა მის დაკვრას. უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ ქართველ ინტელიტ-გენციას არა ერთი შეხვედრა ჰქონია გამოჩენილ მუსიკოსებთან. მსოფლიოში სახელმწიფო გენიალურ პიანისტებს ანტონ რუბინშტეინს, იოსებ პოფმანს და სერგეი რახმანინოვს მრავალრიცხოვანი კონცერტები ჩაუტარებიათ თბილისში და მათ შემდეგ ლ. ტრუსკოვსკის წარმატება ბევრის მოქმედი იყო.

პოლონელი პიანისტი ვარშავის კონსერვატორიაში სწავლობდა, რახმანინოვთან ერთად ბრწყინვალედ დაუმთავრებია პეტერბურგის კონსერვატორია და ჩინებული შემსრულებლის სახელიც მოუხვეჭია. თბილისის მუსიკალური საზოგადოებისათვის სასიხარულო იყო მისი თანხმობა დედაქალაქის მუსიკალურ სასწავლებელში მიწვევაზე უფროს პედაგოგად.

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთი დიდი მუსიკოსები, როგორც იყვნენ კ. იგუმოვი, გ. ნეიპაუზი, მ. იუნინა და სხვ. პედაგოგებად მუშაობდნენ საქართველოში, მაგრამ, სამწუხაროდ, ხანმოკლე დროით. ამ მხრივ დასაფასებელია ლ. ტრუსკოვსკის დამსახურება ჩვენი მუსიკალური კულტურის წინაშე. იგი თითქმის ორმოცი წლის მანძილზე მუშაობდა საქართველოში.

ტრუსკოვსკიმ ზოგიერთი მატერიალური მხარეც დასთმო საქართველოში დარჩენის გულისათვის. გარდა იმისა, რომ იგი მოწვეული იყო იმდროინდელი პეტერბურგის მუსიკალურ დაწესებულებებში, კონცერტებსაც მართავდა. ამავე დროს ახალგაზრდა მუსიკოსს სთხოვეს რუსეთის იმპერატორის სასახლის კარზე მუსიკის გაკვითილების ჩატარება. მაგრამ „მე ხალხის სამსახური ვარჩიე, მე იქ ვერ გზედადი მუსიკისადმი სიყვარულს, მხოლოდ ფორმალობა... და მერე დაუსრულებელი ლოდინი, ვიდრე ჩემი მაღალმოზილი მოწაფე ინებებდა გაკვეთილის მიღებას. ეს შეურაცხმყოფდა. თითქოს მე სულაც არ ვარსებობდი მათთვის“.

იგი სიამოვნებით იგონებდა ჭადრაკის ჩემპიონებს ალექსანდრე ალიოხინსა და რაულ კააბალანკას. რომელიც ერთხანს თ. ტრუსკოვსკის ხელმძღვანელობით სწავლობდნენ ფრეტეპიანოზე დაკვრას. „ისინი მაშინ სულ ყმაწვილები იყვნენ,



Цына 5 коп.

Во Среда, 28 Октября 1947 года

ПЕРВЫЙ

ВЪ ПРИСУТСТВИИ ПУБЛИКИ Музыкальный Вечеръ

Учащихся Музыкальнаго Училища

(въ пользу общества неимуществаго товарищескаго)

ПРОГРАММА:

Отделение I-е

- Гадарь. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ. Москва. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ. Москва.
- Шандуръ. «Гармонь» 2-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ. Барнаул. «Вольно-любитель» 3-я Таранка. Ка. В. Г. Вильямъ.
- Гарь. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. М. Т. Гусинъ. Москва. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Вольфъ. «Танго» 1-я Таранка. Ка. М. Т. Гусинъ. Москва. «Вольно-любитель» 2-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Раффа. La Sorella. 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Велеръ. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ. Тернополь. «Вольно-любитель» 3-я Таранка. Ка. В. Г. Вильямъ.
- Мюллеръ. «Вольно-любитель» 1-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Бернъ. «Вольно-любитель» 3-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Мюллеръ. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.

Отделение II-е

- Аренисъ. «Соната» 1-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ. Москва. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Гадарь. «Вольно-любитель» (вариант) 4-я Таранка. Ка. В. Г. Вильямъ.
- Василь. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. Ф. Е. Бессера.
- Миньский. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Раковский. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. М. Т. Гусинъ.
- Калиновскій. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Раковский. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. М. Т. Гусинъ.
- Чавовскій. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.
- Шонка. «Вольно-любитель» 4-я Таранка. Ка. А. Н. Гуляевъ.

Начало въ 7 ч. вечера.

Просить не «заблуживать» исполнителямъ.



Печать издательства

Издательство «Музыка» (Москва) 1947 г.

უყვარდათ თავიანთი შთაბეჭდილებების გაზიარება და როდესაც ჩემთან მოდიოდნენ, მიყვებოდნენ ხოლმე საილუსტრირებულ ატრაქციულ სანახაობათა შესახებ, რომელსაც მაშინ დიდი კასაკალი ქონდა. მუსიკაც ძალიან უყვარდათ, ალტერატივში მოვიდნენ, როდესაც მე ერთ შეხვედრასე მათთვის ლისტის რაფაელის დაუყვარი. ალიონინმა და კაპაბლანკამ ხელში ამიტაცეს».

ლ. ტრუსკოვსკიმ იმდენად შეიყვარა საქართველო, რომ თავისი მთელი სამშობლო ამოვიდა. მან ცოლად ქართველი ქალ შეირთო. ასევე მიიქცა მისი ერთადერთი ვაჟიშვილიც პავლ ტრუსკოვსკი, რომელიც გერმანულ ფაშისტებთან სამშობლოში მიგზირულად დიდიდა.

ლ. ტრუსკოვსკის პედაგოგიური მოღვაწეობა პირველი ნაბიჯებიდანვე მტკიცედ ნაყოფიერი იყო. იგი დაინიშნა თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის მუსიკალური კლასების ინსპექტორად (ეს მუსიკალური კლასები შეიქმნა, 1922 წ. მუსიკალურ სასწავლებლებზე გადაკეთდა) და ბევრი უბრძოლია მუსიკის სწავლების დონის ამაღლებისათვის.

როდესაც 1917 წელს თბილისში სახელმწიფო კონსერვატორია დაარსდა, სასწავლებლის და დირექციისთვის ტრუსკოვსკის მადლობა გამოეცხადა, ხოლო სამხატვრო საბჭოს ერთხმად აირჩია პროფესორად.

ლ. ტრუსკოვსკის მიერ აღზრდილი მუსიკოსებმა იმთავითვე გაითქვეს სახელი. ირაკლი ორბელიანმა წარმატებით გამართა კონცერტები ამერიკაში, ხოლო ზომერმა და ფრიდმანმა — გერმანიასა და საფრანგეთში.

ოცდაათიანი წლებისათვის საქართველოს მუსიკალურ სასწავლებლებსა და სკოლებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი ტრუსკოვსკის მიერ აღზრდილი კადრები იყო.

მისი აღზრდილი ჩვენი თვალსაჩინო მუსიკოსები: კონსერვატორიის დოცენტები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები: მ. კამოვა, მ. ბახტაძე, კონსერვატორიის დოცენტები: ქ. ეპიტაშვილი, მ. ნათიშვილი, კონსერვატორიის უფროსი მასწავლებელი და ფილარმონიის სოლისტი ლ. მიქაბერიძე, ამავე კონსერვატორიის პედაგოგები: ა. ბაღრიძე, მტრომბერი, ტაშქინტის კონსერვატორიის პროფესორი ბ. გულისაშვილი, ირენის კონსერვატორიის პროფესორები: კ. მალხასიანი და ნ. ანდრიასოვი. საქ. ფილარმონიის დამსახურებული არტისტები: რ. გულზორი და ნ. არდიშვილი, დამსახურებული პედაგოგები: ი. ალექსიძე, ნ. გოკილია, ქ. ბახტაძე, ბ. როსტამბერი, მ. ციციშვილი, ქ. ჯაფარიძე, ს. ფხაკაძე, ლ. კეკელიძე და სხვ.

ლ. ტრუსკოვსკიმ საქართველოში პირველმა დანერგა რუსული საფორტეპიანო სკოლის საუკეთესო ტრადიციები. პეტერბურგის კონსერვატორიაში აღზრდილი იგი ახლოს იანობდა რანზინინოს, ჰოლმანს, მათ სამემსრულებლო შემოქმედებას. იგი მოკად ფიზიკურად და კრიტიკულად მიუღდა ორივე წლებში შემოქრული. ვადაზარბებილი ნაკურთლური სისტემის მიხედვით ფორტეპიანოს სწავლობას, რამაც ცუდ გავლენა მოახდინა სკულნიკებზე. ლ. ტრუსკოვსკი კატეგორიული წინააღმდეგო იყო ამისი და იზიარებდა მოსკოვის კონსერვატორიის წამყვან პედაგოგთა აზრსა და მეთოდებს.

გოგი თოთიზაძე



ოლიმპიადისთვის მზადება (ფრაგმენტი)

სოცა გოგი თოთიზაძის ნახატები ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა, მათი ავტორი სკოლის პატარა მოწაფე იყო. ნორჩი მხატვრის შემოქმედებამ განსაკუთრებით მიიზიდა ყურადღება თბილისის პიონერთა სასახლის ხატვის კაბინეტში სწავლის დროს. გოგის ნამუშევრები სულ უფრო იხვეწება პროფესიულად, იძენს მეტ თავისუფლებას. ყურადღებას იქცევს ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვება და მახვილი თვალი დამწყები შემოქმედისა.

სისტემატური და ბეჯითი სწავლა, მხატვრობის, ოსტა-

ტობის საიდუმლოებების დაუფლება გრძელდება უკვე თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ხდება გოგი თოთიზაძის შემოქმედებით ჩამოყალიბება.

1953 წლის შემოდგომაზე, სამხატვრო აკადემიის ახალი გამოშვება განსაკუთრებით საამაყო იყო მშობლიური უმაღლესი სასწავლებლისა და მისი პედაგოგიური კოლექტივისათვის. საამაყო იყო იმიტომ, რომ ამ წელს სადიპლომო ნამუშევრების სახით შეიქმნა თვალსაჩინო ნაწარმოებები, (კ. მახარაძის „სუფოროვი და ბაგრატიონი ალპებში“, დ. ხახუტაშვილის „საქართველოს მცხოვანი მხატვრები“, ვ. ოჩიაურის „1905 წელი. აჯანყებული გლეხი“, გ. თოთიზაძის „სამგაობის ახალ მიწაზე“ და სხვ.), რომელთა ავტორები უკვე მომწიფებულ, ჩამოყალიბებულ ოსტატებად მოგვევლინენ და მომავლისათვისაც დიდად საიმედო პერსპექტივებს იძლეოდნენ. მას შემდეგ ათ



თიკასდაკე ითიკასლ ეთიკასთის ათოლოტიტი

კახელი გლეხი



წელზე მეტმა განვლო და ეს იმედებიც მთლიანად გამართლდა. დღეს ისინი უკვე სახელმწიფოებრივი მხატვრები არიან, რომელთა მრავალმხრივი შემოქმედებით მოღვაწეობა მკაფიო კვალს აჩენს ჩვენს ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას... ერთნაირი წარმატებით, მაღალი ოსტატობით ისინი მუშაობენ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში — ფერწერულ ტილოებზე თუ წიგნის და ჟურნალების ილუსტრაციებზე, ქანდაკებაში, ქედრობაში. ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი სიყვარულით და ფართო აღიარებით სარგებლობს 1953 წლის კურსდამთავრებულითა, ამჟამად კი ცნობილ მხატვართა შემოქმედება. გოგი თოთიბაძე, კონსტანტინე მახარაძე, დიმიტრი ხახუტაშვილი, გიორგი ოჩიაური, რევაზ ცუცქერიძე, ზურაბ კაპანაძე და სხვ. — ეს სახელები ქართველ მხატვართა ფართო კოლექტივის საამაყო სახელებს შორისაა.

გოგი თოთიბაძის სადიპლომო ტილო „სამგორის ახალ მიწაზე“ მისი შემდგომი დიდი სურათების, მრავალფეროვანი კომპოზიციების საინტერესო წინამორბედი იყო. მასში თვალნათლივ გამოვლინდა ავტორის კომპოზიციური ოსტატობა, ნახატის თავისუფალი ფლობა, სახოვანი აზროვნება, ყველა ის თვისებები, რაც გაღრმავდა და ახალს სიმაღლეებს მიაღწია შემდგომ ნაწარმოებებში.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1954 წლის პირველ ნომერში ვახტანგ ბერიძე ამ ნამუშევრის შესახებ წერდა: „სურათში იგრძნობა მხატვრის აქტიური დამოკიდებულება საგნისადმი, მისი ცხოველი დაინტერესება, როგორც თანამედროვისა, როგორც ამ საერთო საქმის მონაწილისა, მხატვრის თხრობის უქმეველი უნარი და ძალიან მახვილი, დაკვირვებული თვალი აქვს. იგი კარგად იცნობს თავის პერსონაჟებს: ეს ნამდვილი ხორცშესხმული ადამიანებია და არა ტკბილი, შაქარმომყრილი „პეიზანები“, რომელთაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად გვხვდებით ჩვენს საკოლმურნეო სურათებში. არ შეიძლება არ დაგამახსოვრდეთ ხევსურის დამახასიათებელი, ძლიერი სახე, ხევსური ქალი და ცხენზე მჯდომი ბავშვები, რომელთა განცდის უშუალოდ უაღრესად დიდი სიმართლთაა გადმოცემული“...



პრალა



ნინო ზედვინინის პორტრეტი



მიხეილ მამულაშვილის პორტრეტი

მაცო

ამ ნაწარმოების შემდეგ სამხატვრო გამოფენებზე გო-
გი თოთბაძის რამდენიმე დიდი ფერწერული ტილო ვიხი-
ლეთ. ამ მრავალფეროვან კომპოზიციებში აღბეჭდილია
ჩვენი დღევანდელი ადამიანების შრომა და ცხოვრება. სა-
ხეები გამთბარია მხატვრის დიდი სიყვარულით თავისი
გმირებისადმი. ეს არის მართალი ეროვნული ხასიათები,
გადმოცემული დიდი უშუალოებითა და ბუნებრივობით.
„რუსთაველი მეტალურგები“ „ოლიმპიადისათვის მზადე-
ბა“, „გაზაფხული. სტუდენტები“ და სხვ. მხატვრის თვალ-
საჩინო გამარჯვებებია.

საინტერესო და მაღალნაყოფიერია გ. თოთბაძის, რო-
გორც პორტრეტისტის შემოქმედებაც. მისი ფერწერული
და გრაფიკული პორტრეტები გამოირჩევიან მოდილთა ში-
ნაგანი დახასიათების სიმზავილით. მათ შორის შესანიშნა-
ვია ბავშვთა სახეები, აღსაგეს ნორჩთა გულუბრყვილობითა
და მომხიბლაობით.

მდიდარია გ. თოთბაძის გრაფიკული შემოქმედება,
რომელშიც მთავარი ადგილი უჭირავს საბავშვო წიგნე-
ბისა და ჟურნალებისათვის შესრულებულ ილუსტრაციებს.
შეტყველი ნახატი, ფაქიზი გემოვნება, სადა და გასაგები
პლასტიკური ენა მოზარდებისათვის საყვარელ მხატვრად
აქცევს გოგი თოთბაძის.





სულხან ცინცაძის

სიგეზიანი კვარტატი

ერნა მესხიშვილი



სულხან ცინცაძის შემოქმედების ძირითადი ნიშნები — ტალანტი, მრავალფეროვნება, სიყოფიერება და თანამედროვეობის ჯანსაღი შეგრძნება...

თანამედროვეობის მაცნესემა იგრძნობა მისი ნაწარმოებების თემატიკაში: საბავშვო ბალეტი „ცისფერი შთის საუნჯე“, მოგვითხრობს პიონერების ცხოვრებაზე; II სიმფონიის ეპიკურად კომპოზიტორის სურდა ი. ფურჩიკის სიტყვების — „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“ გამოყენება. თანამედროვეობას ასახავს სულხან ცინცაძის ხუთივე სიმებიანი კვარტეტი,

ოპერა „ოქროს საწმისი“ მიეძღვნა კოლხეთის ჭაობების ამოშრობის პრობლემას; III საკვარტეტო სუიტაში კომპოზიტორი იყენებს დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა მუსიკას, თანამედროვეობის კონკრეტულ ფაქტებს უკავშირდება მისი სიმღერებო და სხვ. თანამედროვეობით სუნთქავს მისი მუსიკის წყობა, ყოველთვის ცხოველი და მისაწვდომი, გამოსახვის საშუალებები — ფოლკლორისა და კლასიკის ცოცხალი აღქმით გამოირჩეული, და მისი კინო-მუსიკაც — ეს ყველაზე თანამედროვე და „ახალგაზრდა“ ჟანრი.

ცინცაძის მუსიკა ხასიათდება მელოდიურობით, ადვილად მისაწვდომობა და ამავე დროს ეროვნული ბუნებით გამოირჩეული. ამ მაღალნიჭიერი მუსიკოსის შემოქმედებითი ხელწვრისათვის დამახასიათებელია დიდი ინტენსივობა, განუსაზღვრელი ძიება, ლტოლვა სიახლისაკენ, მშობლიური ფოლკლორის უსაზღვრო სიყვარული.

შესაძლოა, სწორედ უკანასკნელმა თვისებებმა უზიძგეს ახალგაზრდა ვიოლონჩლისტს, თბილისის კონსერვატორიის მეორეკურსელს, პირველი მოკრძალებული ოპუსების შექმნა. (1943 წელს) შესანიშნავმა ვიოლონჩლისტმა საქართველოს ფილარმონიის სიმებიანი კვარტეტის მონაწილემ, ბუნებრივია პირველად კვარტეტის შემადგენლობისათვის დაიწყო წერა. მან კვარტეტისათვის დაამუშავა რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა. ასე შევიდა ცინცაძის შემოქმედებაში პირველად ფოლკლორი, რომელმაც კომპოზიტორის შემოქმედებაში განვლულ განვითარების მრავალფეროვანი, რთული გზა და რომლის საშუალებითაც ყველაზე მკაფიოდ განისაზღვრა სულხან ცინცაძის შემოქმედებითი სახე.

ცინცაძე მუსიკალური ფოლკლორის მგზნებარე მოსიყვარულე და შემკრებია (მას აქვს ხალხური სიმღერების ჩანაწერთა დიდი კოლექცია). მის შემოქმედებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერებისა და ცეკვების მრავალფეროვან ჟანრებს შევხვდებით (ქართლ-კახურს, მეგრულს, სვანურს, გურულს, ფშავეხესურულს). ამითავე კომპოზიტორი უფრო ხშირად იყენებს სოფლურ ხალხურ სიმღერებს, ქალაქური ფოლკლორი მის შემოქმედებაში იშვიათად გვხვდება. თავდაპირველად მასთან ხალხური მელოდია მცირე ცვლილებებით შევიდა, წყობის, კილოს, მეტრისა და სხვა ძირითადი ნიშნების შენარჩუნებით, შემდეგში კი კომპოზიტორი ფოლკლორის კვიდება უფრო თავისუფლად. ხალხური თემები მასთან უფრო გაბედულად მუშავდება; ზოგჯერ გამოიყოფა თემიდან გარკვეული მიმოქცევა, რომელსაც ნაწარმოების მსვლელობისას ეძლევა სრულიად სხვა ემოციური ფერი, შინაარსი. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ IV კვარტეტის პირველი ნაწილების მთავარი პარტიის შედარება III კვარტეტის მესამე ნაწილთან. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს კომპოზიტორის მიერ ხალხური სიმღერების ბუნების თავისებურ გარდატეხასა და დამუშავებასთან.

ცინცაძე მრავალ ჟანრში მუშაობს. მეტად საყურადღებოა მისი კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა, თუმცა ბალეტს, სიმფონიას და კინო-მუსიკას არანაკლები მნიშვნელობა აქვს.

ს. ცინცაძე მზარდი ხელოვანია. ამაზე მეტყველებს მისი შემოქმედების ევოლუცია. საკმარისია შევადაროთ პირველი კვარტეტები მესუთეს, პირველი სიმფონია მეორეს, საბავშვო



ბალეტი „ცისფერი მთის საუნჯე“ — „დემონს“, რომ თავლას-ჩინო გახდეს ს. ცინცადის შემოქმედებითი ზრდა.

ვერულია განიცადა შინაარსმა, თემატიკამ, ფორმამ, დრამატურგიამ, განვითარების ხერხებმა, პარმონიულმა ენამ, ხალხური მუსიკისადმი კომპოზიტორის დამოკიდებულებამ. ეს განსაკუთრებით ნათლად სჩანს მის კამერულ-ინსტრუმენტულ შემოქმედებაში. გარდატეხა იგრძნობა უკვე III კვარტეტიდან. IV კვარტეტში მკვეთრად შეიცვრა სიახლე, ხოლო V კვარტეტი კი თვითონრიგად ახალი მშენილება არა მარტო ცინცადის შემოქმედებაში, არამედ მთელ ქართულ მუსიკაში. კომპოზიტორის პირველ-სამ კვარტეტში ნათელი, მხიარული და უშფოთველი განწყობილებები ბატონობს. ისინი ასახავენ სინამდვილის უკონფლიქტო მხარეებს, ხალხური ყოფის სურათებს (თითქმის სასეპითი განრულ-ყოფით ასპექტში), საბჭოთა ადამიანის მთლიან და ნათელ სულიერ წყობას. სედიანანი, დრამატული ემოციები საკმაოდ უმნიშვნელო ადგის იაკვიზებ, ხშირად აქვთ რამდენიმე ელეგიური შეფერილობა (ამ მხრივ ცვლილება შეაქვს III კვარტეტის მესამე ნაწილს) და არ კარგავენ მტკიცე განრულ საფუძვლებს.

ჩვენი ცხოვრების ძლიერი დინამიზმი, წინააღმდეგობათა რთული ზღაპრი, ტრაგიკულობა, ემოციათა დახვეწილობა — ყოველივე ეს ჯერჯერობით კომპოზიტორის ყურადღების მიღმა რჩება. პირველ კვარტეტებში ნათლად იგრძნობა ბოროდინისა და ჩაიკოვსკისაგან მომდინარე ტრადიციები.

უკვე აღიწერა პერიოდში შექმნილი I კვარტეტი რამდენიმე ტიპურ ნაწარმოები იყო. აქ ძირითადად მოხდა კვარტეტის ფორმის ჩამოყალიბება, თემის, განვითარების ხერხების, თემატიკურ დამოკიდებულებათა პრინციპების დადგენა ფორმის მკაფიოდ, დახვეწილობა კულმინაციის აგებისა და განსაზღვრის მეთოდი, ფინალის კონტრუბი მნიშვნელობა და პოლიფონიურობა დამახასიათებელია მომდევნო ნაწარმოებისათვისაც. კვარტეტის I ნაწილის (Allegro) მუსიკა ხალისიანი და ციცხალია. დამხმარე თემა, რომელიც წარმოიშვა მთავარი თემის გარკვეული მოტივისაგან, უფრო ნათელი და მშვიდი განწყობილებისაა. დამუშავებაში წარმოებს ძირითადი თემების დრამატისაცა და დაახლოვება — დამხმარე თემა უშუალოდ ერწყმის მთავარს. თემების ამ თავისებურ სინთეზზე აღმოცენდება I ნაწილის კულმინაცია, რომელიც თან ზღვდება დამუშავების დასასრულს. რეპრიზა ზუსტია. I ნაწილის ასრულება გაფართოებული მთავარი პარტია.

II ნაწილი — სწრაფებით იმპულსური, კონტრასტებით აღსავსე სეკრცია (რთული სამწილობლი ფორმა).

თემატიკის საფუძველია ხალხურ-ინსტრუმენტული მუსიკა, რომელიც მკაფიოდ მქადავდება კიდური ნაწილების შუა ეპიზოდებში. აქ გამოყენებული ორ ინსტრუმენტს შორის იმიტაციური „გადაძახილების“ ხერხი, შეგვხვდება ცინცადის შემოქმედებებშიც. ფორმის კონტრუბი მკაფიოდ არის მოხაზული. სეკრცოს ცენტრალური ნაწილი, თავისი მეტრულად ასიმეტრიით და აღმოსავლური ხასიათით თემით („რწყუადი პრიციპალის ფონით და საერთო ხასიათით არაპიკათული, ქმნის რაღაც საიდუმლო სვლის შთაბეჭდილებას და განცალკევებით დასვს).

III ნაწილი — ლირიკულ-სედიანანი ხასიათის კაცონაა. 3 ნაწილიანი ფორმა იფარგლება გამჭვირავლ („ლონგირ-

ნის“ ტიპის), დამოუკიდებელი ხასიათის პროლოგითა და ეპილოგით. ქართული ვოკალური მრავალმნიშვნის ხასიათი მთელ ფორმას აძლევს კონცენტრირებულ იერს (კულმინაცია აქვს რეპრიზაზე მოდის).

IV ნაწილი — ენერგიული ფინალია რინდო-სინტურ ფორმით დამახასიათებელი ფუგატო დამუშავებაში და ნაწილის დასასრულს. ფინალში ცინცად იძლევა წინა ნაწილთა ძირითადი თემების რმინისცეციას (ტეოპოენის მე-9 სიმ-ფონიის ტიპის). ფინალი მთავრდება I ნაწილის მთავარი პარტიის ხმოვანებით.

I კვარტეტში არ არის გამოყენებული ნამდვილი ხალხური მელოდიები, მაგრამ პირველი ნაწილის დამხმარე პარტიაში ხმოვანებზე ისეთი ინტონაციური ქცევები, რომლებიც ახლოს დგანან ფშა-ხეცურულ მუსიკასთან. საერთოდ, ამ კვარტეტის ყველა თემა ხალხურ ადაზნაზე შექმნილი. გარდა აღნიშნული დამხმარე თემისა, შეიძლება დავასახლოთ სეკრცოს კიდური ნაწილები, რომლებიც ხალხურ ცეცხვებს ემყარება, კანცონას მუსიკა კი ხალხური მრავალმნიშვნის ტიპისაა.

თემატიკური მასალის დამუშავების ხერხები არ ცოდება კლასიკურ ნორმებს. იგრძნობა მიდრეკილება პოლიფონიურობისაკენ იმიტაციურად აგებულ სეკრცოში და ფინალში, რომლის ცენტრალური ნაწილი განვითარებული ფუგატოა, ხოლო დასკვნითი ნაწილი — სეკრცო. Largo-ს ძირითადი თემის რეპრიზაში წარმოიშვება დაღმავალი კონტრაპუნქტი.

II კვარტეტის მთავარ თემათა გამოხატულებას ისეთივე, როგორც პირველის. აქვე დამხმარე თემა აღმოცენდება მთავარი პარტიიდან, მხოლოდ იგი ფორმით უფრო განვითარებულია (შეიცავს სამწილობლი ელემენტებს), დასკვნითი პარტია არა აქვს დამუშავების კულმინაციურ მიმეტში, რომელიც პირველი კვარტეტის მსგავსად აგებულია ძირითად თემებზე, ძლიერად ხმოვანებს რიტმულად გაფართოებული მოტივი დამხმარე პარტიის შუა ნაწილიდან, რომელიც ამავე დროს მთავარი პარტიის ინტონაციურ შებრუნებას და განსჯოგადოებას წარმოადგენს. (აქ ეს შერწყმა ისე მექანიკური არ არის, როგორც I კვარტეტში).

I ნაწილი შემოფარგლულია ნელი შესავალით (ინტონაციური წყარო ძირითადი თემების) და დასკვნითი ნაწილით, რომელიც დაკავშირებულია დამხმარე თემის გადარქმნილ ტრაგიკულ ინტონაციებთან.

II კვარტეტის ხალისიანი სეკრცო მკვეთრი ეროვნული კოლორიტისაა. კონკრეტულად სახვანია II თემაში ხალხური ინსტრუმენტების იმიტაცია. სეკრცოს ცენტრალურ ნაწილში, რომლის დასაწყისში მოვგაგონებს I კვარტეტიდან Largo-ს, ჩნდება სახუმარო „თავმოწონი“ თემა. მთელი ეს ეპიზოდი თავისი ფორმლაგებით, სახუმარო აღმავალი glissando-ებით, ტრიკლებით სათავეს უდნა ცინცადის შემოქმედების გროტესკულ ხაზს, რომელიც ვითარდება შემდგომ ნაწარმოებებში (და არა მხოლოდ კამერულ-ინსტრუმენტულ განრში). სეკრცოში რეპრიზაზე გადასვლის მიმეტში ძალიან მოვგაგონებს I კვარტეტის სეკრცოს იმიტაციურ ეპიზოდს.

III ნაწილი — 9 ვარიაცია ხალხური სიმღერის „მზე შინა და მზე გარეთ“ თემაზე. ვარიაციები თავისუფალია. მთელი ნაწილი უახლოვდება სუიტის ტიპს (აქ შეიძლება ვა-



ხოთ სკერცოც, ნელი ნაწილების ტიპის ექსპრესიულ-ლირიკული ვარიაციებიც).

II კვარტეტის ფინალი სკერცოს მსგავსად ჯანრულობისა და ეროვნული კოლორიტის მიხედვით უფრო მკვეთრია, ვიდრე I კვარტეტისა. ფორმა კი აქვს რონდო-სონატისა.

რონდო-სონატის ეპიზოდს (ფორმის თვალსაზრისით) და კულმინაციას ქმნის I ნაწილის დამხმარე პარტია (მისი ორი გატარება მოცემულია ოქტავის კონტრაპუნქტში); მთლიან ეს ნაწილი გამსჭვალულია პოლიფონიური ხერხებით. შემაჯამებელ როლს ფინალი ასრულებს წინა ნაწილებიდან ადგილებული მხოლოდ და მხოლოდ ერთი თემის საშუალებით. (I კვარტეტის ფინალში კი გატარებული იყო ყველა ძირითადი თემები წინა ნაწილებიდან). II კვარტეტი პირველსაგან განსხვავდება მთელი რიგი ხალხური თემის უშუალო გამოყენებით. სკერცო ეყარება ხალხური საცეკვაო „დოლერის“ ინტონაციებსა და რიტმებს. განსაკუთრებით „ხალხურად“ ეუფის კიდური ნაწილების შუა ნაწილების შუა ეპიზოდი ახლო მდგომარე საფერხულო სიმღერასთან „ეს ბიჭი კარგად თამაშობს“ და ცენტრალური შუა ნაწილი. თემების გამოყენებისა და განვითარების თვალსაზრისით ნიშანდობლივია III ნაწილი, ფინალის II თემში გამოიყენება ხეცურული სიმღერის საცეკვაო.

ყველა დანარჩენი თემები — I ნაწილის შესავალი ხალხური მრავალმნიშვნობის სტეპის, I ნაწილის ძირითადი თემები და ფინალის მთავარი თემა, ძნელად შეიძლება გაგარჩიოთ ტემპნატიკა ხალხური მელოდებისაგან.

სკერცოში და III ნაწილის I ვარიაციამ შეხვდებით ცინცადის ანტირულ-ინსტრუმენტული მინიატურებისაგან ნაცნობ ხალხური ინსტრუმენტების იმიტაციას (დოლი, ჩინგური). ზოგიერთ სხვა ვარიაციებში (VI-IX) ყურადღებას იპყრობს თანახმების სიღამეზე, ქსოვილის პოლიფონიურობით გამოირჩევა ექსპრესიული V ვარიაცია.

III კვარტეტის I ნაწილის შინაარსი, კოლორიტი, მუსიკის საერთო ხარისხი რძეა იგივე, რაც პირველ ორ კვარტეტში. მხოლოდ ძირითადი თემები ფორმის მხრივ უფრო გამწვანდა, მთავარი და დამხმარე პარტიები დაწერილია სამნაწილიან ფორმაში. პოლიფონიური ხერხებიც საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ამ კვარტეტის I ნაწილში, კულმინაციურ ზონას (როგორც ყოველთვის) აქვს განაწარმოებული ხასიათი. I ნაწილი შემოფარგლულია ნელი შესავლით, რომელიც გაივლის კოდის წინ და მთელ ნაწილს აძლევს მთლიანობის იერს. (ასეთივე ხერხი გამოყენებული იყო I და II კვარტეტებშიც). I ნაწილი — სკერცო დაწერილია ტიპურ სამნაწილიან ფორმაში.

საინტერესოა მე-3 კვარტეტის III — ნელი ნაწილი. ეს არის მკვეთრად ექსპრესიული, ტრაგიკული შეფერილობის მუსიკა, რომელსაც მიყვარებთ მე-5 კვარტეტისაკენ. სწორედ ეს ნაწილი მეტყველებს კომპოზიტორის დანიტრეფებაზე ახალი პრობლემებით, გარდატეხის მომენტზე, რომელიც დადგა მისი უმოფთვლო ხასიათის გამერულ-ინსტრუმენტულ ჯანრში.

ფინალის ძირითადი თემა 4 ხმადი ფუკით არის წარმოდგენილი. მორიგეობით ჩაერთვან თემში ალტი, მორე ვიოლინი, ჩელო და ბოლის პირველი თეოლინი, თემის მორე გატარებით, დამუშავებითა და რეპრიზით. და რადგან თემა საკ-

მაოდ დიდია (შედეგმა 12 ტაქტისაგან), ფუგაც ამიტომ დიდ მასშტაბებს აღწევს. იმიტაცია შეიჭრება არა მარტო დამხმარე პარტიაში, არამედ მთელ დამუშავებაშიც. დამუშავების კულმინაციაში რიტმულად გაფართოებული მოტივი ჯარტის, რომელიც წამოადგენს კონტრაპუნქტის მთავარი პარტის არა მარტო ინტონაციურ განზოგადებას, არამედ ფინალის დამხმარე პარტიისა და სკერცოს მორე თემისა. ამრიგად, ფინალში II ნაწილის თემატრიზის გამოყენება ნაცვლად I ნაწილისა, არის მე-3 კვარტეტის განმასხვავებელი ნიშანი.

III კვარტეტში ნაკლებად არის გამოყენებული ხალხური თემები. III ნაწილის ინტონაციურ წყაროს წარმოადგენს ქართული ეპიკური სიმღერის „ეუშინ ვინდნი გურჯანელის“ საწყისი ინტონაცია. ეპიკური მოტივი გადაიზარდა ექსპრესიულ, სევდიან ტიპის მუსიკაში.

ფინალის მთავარი პარტია ახლოს დგას „ქართულთან“ და ამდენად საკვარტეტო სუიტის „საცეკვაოსთან“. მკვეთრად ქართულია კოლორიტის მიხედვით სკერცო, რომელიც ხალხურ მუსიკასთან რიტმული საფუძვლით დგას ახლოს.

IV და III კვარტეტის I ნაწილებს შორის დიდი შინაარსობრივ-სახეობრივი განსხვავებაა. მუსიკა IV კვარტეტის უფრო ღრმა და დრამატობრივულია, მოკლებულია ჯანრულობას. აქ დრამატუბა კონტრასტის ნაწილებს შორის. თანრულ-სასასათო ხაზი ერწყმის ლირიკულ-დრამატულს, რომლის ცენტრდაც ადებულია კვარტეტის I ნაწილი.

I ნაწილში კიდევ უფრო გაზრდილია პოლიფონიური ხერხების განვითარების ხარისხი. ეს ეჭება არა მარტო დამუშავებას, არამედ მთავარ თემებსაც. მთავარი პარტია, მავალი, მთავრად, კანონურად ვითარდება, იმიტაციურია დამხმარე პარტია, რომლის შუა ნაწილში ხმები ჩაერთვის ფუგისმსგავსად — არის აგრეთვე შეკავებული საწინააღმდეგო სვლის ნიშნებიც. მთავარი პარტია ტონალურად არამყარი, დამუშავებითი ხასიათისაა. თემის შუა ნაწილი (სამ ნაწილიანი ფორმის) წარმოადგენს ინტენსიურ დამუშავებას, რომელსაც მიყვარებთ რეპრიზის დიდი ხლ ხზოვანამდე. მთელი ეს ნაწილი აღბეჭდილია დაფი ინტენსივობით, განვითარების დაძაბულობით, რაც წინა კვარტეტებს ნაკლებად ახასიათებდათ. დამხმარე პარტია არ არის ჩაკეტილი. საწყისი მოდულირებული პერიოდის შემდეგ იწყება სამნაწილიანი ფორმის შუა ნაწილის მსგავსი ხმობილი, რომელიც რეპრიზის ნაცვლად გადადის პირდაპირ დამუშავებაში. კულმინაციაში ხზოვანებს რიტმულად გაფართოებული დამხმარე პარტია (I და II ვიოლინოები), რომელიც ბანში ეყარება მთავარი პარტიის ინტონაციებს. კულმინაცია მთავრდება მთავარი პარტიის საწყისი ინტონაციების ხზოვანებით.

კოდაში ხზოვანებს დამხმარე პარტია ქრომატიული კონტრაპუნქტით მისი ექსპოზიციის შუა ნაწილიდან. დამუშავების მსგავსად კოდა მთავრდება რიტმულად შეცვლილი მთავარი პარტიის ინტონაციით.

პოლიფონია ამ კვარტეტის II ნაწილშიც იჭრება. სკერცოს შუა ნაწილი მოცემულია დიდი ოქტაური კანონი. ჩვეულებრივი სამნაწილიანი ფორმა შეცვლილია 3-7 ნაწილიანობით.

ამ კვარტეტის III ნაწილი დაწერილია ცინცადის კვარტეტის ამ ნაწილებისათვის უწყველო მარტივი სამნაწილიანი ფორმით. აქედან მიდის მე-5 კვარტეტისათვის დამასასიათე-



ბელი სტრუქტურული უბრალოების ნათესაობა. კიდური ნაწილების ძირითადი თემები მოცემულია ოქტავის კონტრაპუნქტული გატარებით. IV კვარტეტის ფინალში კომპოზიტორი კვლავ რონდო-სონატურ ფორმას უბრუნდება. საჭიროა აღინიშნოს, რომ ფინალის დამხმარე პარტია არის III ნაწილის ძირითადი თემის ტრანსფორმირებული სახე. დამუშავების დასაწყისში დამხმარე პარტიის ბანზე ზემოთა ხმაში ხდება მთავარი პარტიის დაშრევა. დამუშავებაში გამოყენებულია ფინალის ძირითადი თემები, მაგრამ აგრეთვე სხვა ნაწილების ელემენტებიც: I ნაწილის ფაქტურა, კრომატიული მოტივი, რომელიც სამივე ნაწილში ვგვხვდება, ხოლო ფინალის კულმინაციაში რიტმულად და ემოციურად შეცვლილი I ნაწილის მთავარ თემაში ჩაერთვის ხან განმარტვადებული ხასიათის ტრიოლები სეკეროდან, ფინალიდან, I ნაწილიდან, ხან სამხმოვანების ბეგრების მიხედვით სვლები I ნაწილის დამხმარე პარტიიდან.

ამგვარად, ფინალში წინა ნაწილების თემების მექანიკური შეტანიდან კომპოზიტორი გადადის ფინალში რომელიმე ერთი თემის გამოყენებაზე, ხოლო IV კვარტეტში კვლავ მოხადონა მთელი კვარტეტის თემატიზმის განსოვადება გაცილებით მაღალსტიკატურად.

IV კვარტეტის მთავარ პარტიას საფუძვლად უდევს სვანური საკულტო სიმღერის „ლილეს“ დასაწყისი ინტონაციები. ხალხური სიმღერის ინტონაციები კომპოზიტორმა გამოყენა ქმედითი მშოფარაკი — დამატებული სახის საფუძვლად. თემა შემუშავდება იმიტაციური და კონტრასტული პოლიფონიის გამოყენების გზით.

ქალაქური ფოლკლორის სტილშია შექმნილი I ნაწილის დამხმარე პარტია. ხალხური მუსიკა უდევს საფუძვლად სეკეროს რიტმს (6/8, 5/8, სინკოპები, აქცენტები), რომლის ზეთ-წილადობა მომდინარეობს ხოლომიდან. თავის ხალხურ ბუნე-

ბას ამტკიცებს კიდური ნაწილების კულპეტური ფორმაც.

III ნაწილის (Adagio) ძირითადი თემა ახლო ვარიანტია „მწყემსურისა“ საკვარტეტო სუიტიდან. შუა ეპიზოდი აგებულია პოლიფონიური წყობის თემაზე, რომელიც მოკლებულია მკვეთრ ეროვნულ კოლორიტს. საერთოდ მთელი ეს ეპიზოდი გამსჭვალულია პოლიფონიურად მკაფიო და დამოუკიდებელი ხმებით.

